# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | ხუთშაბათი, 20 თებერვალი 1997 №19 (384) | ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ვაკეთოთ?




კითხულობენ ინგლისელები და თავადვე პასუხობენ:

**30 აპრილს საქართველოსთან:**
**უეჭველი და შთამბეჭდავი გამარჯვება.**

**31 მაისს პოლონეთში:**
**გამარჯვება თუნდაც სიცოცხლის ფასად.**

**10 სექტემბერს მოლდოვასთან:**
**გოლების თავსხმა.**

**11 ოქტომბერს იტალიაში:**
**ფრე გამოვგლიჯოთ**



# რა ვაკეთოთ?

ვკითხულობთ ჩვენც. პასუხს ნაკრების მწვრთნელთაგან მოველით.

**მეორე მწვრთნელის მოსაზრებებს აქვე გთავაზობთ.**

**ყიფიანი კი დღეს 14 საათზე „ბერიკონში“ ნაკრების მწვრთნელის რანგში პირველ პრეს-კონფერენციას აწყობს.**

# ჩვენც იტალიელებივით უნდა ვითამაშოთ

## ამბობს რევაზ ძოძუაშვილი

„უემბლიმდე“ დიდი დრო აღარ დარჩა. ორი თვე, ცოტა მეტი და საქართველოს ნაკრები ახალი მწვრთნელების ხელმძღვანელობით პირველ მატჩს გამართავს ამ ჯადო სტადიონზე. და ეს თამაში ბევრს გადაწყვეტს. კიდევ ერთხელ გამეორება იმისა, რომ უდიდესი მნიშვნელობის შეხვედრა გველის, არა მგონია, მიზანშეწონილი იყოს. თუმცა არც იმას ევების დავიწყება, რომ მასპინძლებიც ასეთსავე მდგომარეობაში იქნებიან. მათ საფრანგეთში მოხვედრის შანსი კი აქვთ, მაგრამ იტალიელებთან მარცხმა ყველაფერი აურდაურია. ინგლისელმა ჟურნალისტებმა კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს გლენ ჰოდლს და უპირობოდ მოსთხოვეს ქართველებთან მოგება. „იქნებ, ჩვენთვის სასიკეთოდ ალმოჩნდეს ალბიონზე შექმნილი ასეთი ვითარება. ინგლისელებმა 30-ში აუცილებლად უნდა გაიმარჯვონ და შეიძლება ეს ფსიქოლოგიურად დაეტყოთ კიდეც. ეს მომენტი ხელიდან არ უნდა გავუშვათ“ — გვითხრა რევაზ ძოძუაშვილმა, რომელიც 12 თებერვალს დავით ყიფიანთან ერთად „უემბლიზე“ ესწრებოდა ჩვენი მეტოქეების თამაშს.

„მიხიჩას“ გუშინ რიგაში შევეხმიანეთ და ამ მატჩის კომენტარი ვთხოვეთ, რაღა თქმა უნდა, ინგლის-საქართველოს მომავალი მატჩის გათვალისწინებით:

— ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ 30 აპრილს მოგების შანსი გვაქვს. მთავარია, კარგად მოვემზადოთ. როგორც შევიტყვე, ინგლისელები ხელწამოსაკრავ გუნდად არ გვთვლიან. თქვენ წარმოიდგინეთ, ცოტა შიშიც კი აქვთ. ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთ იქაურ გაზეთში გამოქვეყნებული წერილი ამას მოწმობს. ისინი დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იქნებიან და ეს მომენტი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. თუ ინგლისელებს საფრანგეთში მოხვედრა სურთ, ჩვენთან აუცილებლად უნდა გაიმარჯვონ. ეს ყოველივე ჩვენთვის უფრო ხელსაყრელ ვითარებას ქმნის. იმ თამაშით კი, როგორც იტალიასთან ითამაშეს, ნამდვილად ვერ დაგვჩაგრავენ. მთავარია, წინასწარ გამოვიცნოთ ინგლისელთა ტაქტიკა და შესაბამისად ვეთამაშოთ. თუ 12 თებერვლის მსგავსად ითამაშეს, მაშინ ჩვენც, იტალიელებივით, რამდენიმე პერსონალური მეურვე უნდა მივუჩინოთ მეტოქეს, მაქსიმალურად შევუზღუდოთ მოქმედების არეალი და ვეცადოთ კონტრშეტევებზე დავიჭიროთ.

როგორც იმ შეხვედრამ გვიჩვენა, ჩეზარე მალდინის მიერ არჩეული ტაქტიკური სქემა გაცილებით ეფექტური და სარგებლიანი გამოდგა, ვიდრე ჰოდლის ნაფიქრალი. საერთოდ, დღევანდელ ფეხბურთში ასეა — 4-4-2 ყველაზე მომგებიანია. ასეთ დროს შეგიძლია თანაბრად აკონტროლო დაცვისა და შუა ხაზის თამაში თავდასხმასთან ერთად. ასეთი ტაქტიკა განსაკუთრებით მაშინაა მიზანშეწონილი, როცა მეტოქე შემტევ ვარიანტს ირჩევს და სამი მცველით გეთამაშება, რაც გათვალა კიდეც მალდინიმ „უემბლიზე“. ასეთი მატჩი დიდი ხანია არ მინახავს. მეტოქეებიც ნამდვილად ღირსეულნი იყვნენ. ფრე ალბათ უფრო ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ, ვიმეორებ, მალდინიმ ჭკუით აჯობა ჰოდლს.

**— ზემოთ ახსენეთ, ჩვენც იტალიელთა მსგავსად უნდა ვეთამაშოთ, თუ მასპინძლები იგივე სისტემას ირჩევენო. კი მაგრამ, ცოტა გადაჭარბებული ხომ არ არის იტალიელთა მსგავსად თამაში?**

— რატომ არის გადაჭარბებული? ჩვენ რა, არ შეგვიძლია მათნაირად თამაში? ყველაფერი შესაძლებელია. მთავარია, კარგად მოვემზადოთ და ღირსეული ფეხბურთელებით დავაკომპლექტოთ ნაკრები, ისეთებით, რომლებსაც დავალების ასი პროცენტით შესრულება შეუძლიათ.

**— რაიმე ახალი თუ შენიშნეთ მეტოქეთა თამაშში?**

— განსაკუთრებული სიახლე არაფერი. აშკარად ჩანდა, იტალიელები ძველებურად დაცვას თამაშობდნენ. შეამჩნევდით, ინგლისელ ფეხბურთელებს თავისუფლად ბურთის მიღების საშუალებას არ აძლევდნენ, ორივე თავდამსხმელს თავისი მეურვე ჰყავდა და აკი, ფაქტობრივად, უსაქმოდაც დარჩნენ. თანაც მასპინძლებს აკლდათ გესქოინი, ვისაც პასების განაწილება და თამაშის დაწყობა ევალება. ძნელია, ინგლისელთა რომელიმე რგოლზე ან კიდევ სათამაშო სტრატეგიაზე საუბარი. შესამჩნევი კი იყო, ჰოდლის ხელში ახლებურად რომ ათამაშდნენ, მაგრამ დროდადრო ისევ უწინდელივით თამაშობდნენ, ფლანგებიდან აწვდიდნენ და საჯარიმოში იბრძოდნენ, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სტუმრებმა არ მისცეს მათ იმპროვიზაციის საშუალება და ჩაწოდებებს აძულებდნენ. ისე, მხოლოდ ამ თამაშით წარმოდგენის შექმნა არ შეიძლება, ზუსტად ვერაფერს იტყვი კაცი. არ არის გამორიცხული, იტალიაში სულ სხვა ვითარება შეიქმნას და სიტუაცია კარდინალურად შეიცვალოს. იქნებ ჩემი სიტყვების საწინააღმდეგო რამ მოხდეს.

**— და მაინც, როგორ შეიძლება ინგლისელთა დამარცხება?**

— ელემენტარულად, თამაშის სწორი ორგანიზაციით. ყველა ფეხბურთელმა შესაძლებლობის მაქსიმუმი უნდა გამოავლინოს. როგორც უკვე ვთქვი, აუცილებელია გამოვიცნოთ მეტოქის ტაქტიკური ჩანაფიქრი და ამის მიხედვით ვიმოქმედოთ. დავუშვათ, თუ 12 თებერვლის მატჩის დარად ისევ სამი მცველით და ხუთი ნახევარმცველით ითამაშეს, მაშინ უპრიანი იქნება დაცვა გავაძლიეროთ, რამდენიმე ფეხბურთელს პერსონალური მეურვე მივუჩინოთ. ერთი სიტყვით, ჩვენც იტალიური დაცვის მოდელი „კატენაჩო“ გამოვიყენოთ. ასეთ შემთხვევაში მეტოქეს ვაიძულებთ შეცვალოს თამაშის მანერა და ამ ცვლილების მიხედვით ჩვენც უნდა გადავეწყოთ. გამორიცხული არ არის სხვა ტაქტიკური ვარიანტებიც, გააჩნია, როგორ ითამაშებს ინგლისი. თუ თავიდან ვერ გამოვიცანით მათი ზრახვები, თამაშის მიმდინარეობისას უნდა მოვახდინოთ გონივრული ცვლილებები.

**— სხვა ტაქტიკაში რას გულისხმობთ? იქნებ თავდასხმის გაძლიერება მოგიხდეთ?**

— რა ვიცი, წინასწარ რა გითხრათ. შევხედავთ ინგლისელებს და გამორიცხული არაფერია. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, დაცვას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. საგანგებოდ ამ მატჩისთვის უნდა შეირჩეს ფიზიკურად ძლიერი, ათლეტური ფეხბურთელები, რომლებიც მალისხმიერ ფეხბურთში არაფერს დაუთმობენ ინგლისელებს.

**— ვის გულისხმობთ?**

— ცოტა გვყავს ათლეტური ფეხბურთელები? გიორგი ჩიხრაძე, გოჩა გუჯაბიძე, მურთაზ შელია. იმის გარდა, რომ ისინი ფიზიკურად ძლიერები არიან, თავითაც კარგად თამაშობენ და ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელია. ორი აზრი არ არსებობს იმის შესახებ, რომ ინგლისელები შეტევისას აქცენტს სწორედ მაღალ ბურთებზე გააკეთებენ, ჩვენ კი უნდა ვეცადოთ, ამგვარი საჰაერო ბრძოლები არ წავაგოთ.



**— სომხეთთან შეხვედრას ალბათ ამისთვისაც გამოიყენებთ. ვის მიწვევას აპირებთ ნაკრებში?**

— სომხებთან თამაში უკვე გადაწყვეტილია?

**— დიახ. 30 მარტს.**

— ძალიან კარგი. ასეთი თამაში აუცილებელი იყო. ალბათ ყველა იმ ფეხბურთელს გამოვიყენებთ, რომლებიც ნაკრების კანდიდატებად ითვლებიან. საინგლისოდ სომხებთან თამაში დიდ სამსახურს გაგვიწევს.

**— სხვა ამხანაგური თამაშები ხომ არ გაქვთ დაგეგმილი?**

— ვერაფერს გეტყვით. მე ინგლისიდან პირდაპირ რიგაში ჩამოვედი და ჯერჯერობით მოკლებული ვარ ინფორმაციას. ალბათ ფეხბურთის ფედერაციაში ეცოდინებათ ყველაფერი.

**— ლატვიის ნაკრებთან თამაშს ამზობდით?**

— ისინი ამჟამად კვიპროსში არიან შეკრებაზე. ჩამოვლენ და ამასაც გავარკვევ.

**— ყიფიანმა თქვა, ნაკრების შესაძლო დაბინავების ადგილს ვეძებდით მე და რეზო ძოძუაშვილიო...**

— კი, მართლაც შემოვიარეთ ლონდონის ახლო-მახლო მდებარე სასტუმროები და სპორტული კომპლექსები. საბოლოოდ ერთზე შევჩერდით, რომელშიც ბრაზილიელები, პოლონელები და სხვა გუნდები ბინავდებიან-ხოლმე. ახლა მექსიკელებიც იქ იცხოვრებენ. კარგი ადგილია. ლონდონის ერთ-ერთ გარეუბანშია, სიწყნარეა, არაჩვეულებრივი ბუნებაა ირგვლივ, ხუთი წუთის სავალზე კი ორი სავარჯიშო მინდორიც არის.

**— ქინქლაძეს და ყაველაშვილს თუ ესაუბრეთ?**

— პირადად არა, მაგრამ ფრენკ კლარკს დავუკავშირდით და მან მოგვაწოდა ინფორმაცია. ქინქლაძე კარგ ფორმაშია, თავდამსხმელების უკან ვათამაშებ და შესანიშნავად მოერგო ახალ ამპლუასო, გვითხრა „სიტის“ მწვრთნელმა. რაც შეეხება ყაველაშვილს, ის ვერა და ვერ შევიდა ჩვეულ ფორმაში და მეორე შემადგენლობაში თამაშობს. „სიტის“ ხელმძღვანელობას მისი გაყიდვა აქვს გადაწყვეტილი, ეგაა, ჯერ კლუბი ვერ მოუძებნიათ. სხვათა შორის, მოსკოვში ყოფნისას სიომინსაც შევეხმიანეთ, მაგრამ „ლოკომოტივი“ ისრაელში წაუყვანია, ზაზა ჯანაშიაც იქაა.

**— ინგლისში ყოფნისას ყიფიანთან ნაკრების შესაძლო კანდიდატურებზეც ისაუბრებდით?**

— საკმაოდ მაინტერესო დიალოგი გამოგვივიდა. ნაკრების სამომავლო პერსპექტივებზეც ვისაუბრეთ და დღეს შექმნილი მდგომარეობაც რეალურად შევაფასეთ. ორივემ ჩამოვთვალეთ ის ფეხბურთელები, რომელთა ნაკრებში გასინჯვაც შეიძლება: გრიშიკაშვილი, გუჯაბიძე, შეყილაძე, გახოკიძე, კიკნაძე, ხომერიკი, უჯმაჯურიძე, მაჭუტაძე, ლატვიაში მოთამაშე ფეხბერთელები. ჩვენი აზრები, უმეტეს შემთხვევაში, ერთმანეთს ემთხვეოდა. სხვათა შორის, ყურადღების ღირსია ბათუმელთა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი. იქაურებმა წლევანდელ სეზონში ძლიერ მოუმატეს და მათი თამაშის ხილვა არ გვაწყენდა.

**— თქვენი სიტყვები მაფიქრებინებს, რომ ყიფიანთან საერთო ენა უკვე გამონახეთ. ფუნქციები როგორ გაინაწილეთ?**

— როგორც ფედერაციამ გადაწყვიტა. დათო პირველი მწვრთნელია და გუნდის მომზადებაში პრიორიტეტი მას ენიჭება, თუმცა მეც მაქვს ჩემი საქმე. ყიფიანს ყოველმხრივ ხელს შევუწყობ. ურთიერთგაგებას კი რაც შეეხება, გეტყვით, რომ ყველაფერი რიგზეა. ჩვენ უსიტყვოდაც გვესმის ერთმანეთის.

**— „უემბლიმდე“ ბევრი სამუშაო გექნებათ. „სკონტოდან“ საბოლოოდ წამოხვალთ თუ არა?**

— სხვა რა გზაა, უნდა წამოვიდე. ახლა კლუბის პრეზიდენტი ნაკრებთან ერთად კვიპროსზეა და როგორც კი დაბრუნდება, ყველაფერს ავუხსნი. ალბათ დამთანხმდება. თუმცა ლატვიელებთან კავშირს არ გავწყვეტ, ხშირი კონტაქტი მექნება, თუნდაც იმიტომ, რომ ლატვიაში ნაკრების კანდიდატებიც თამაშობენ...

**კობა ინასარიძე**

# ნოდარ კიკნაძე: ვემზადები გერმანულში და მსურს კარგი მწვრთნელი გავხდე

მარგველთა მთავარი მწვრთნელი ნოდარ კიკნაძე იმედიანი მომეჩვენა, გამაოცა მისმა განწყობილებამ — პირველი წრის შემდეგ „მარგვეთი" ხომ ბევრმა მოთამაშემ დატოვა: ქებაძე, მარღიშვილი და მაღლაკელიძე „ტორპედოში" გადავიდნენ, უკლებამ და ლანჩავამ საბერძნეთის II ლიგას შეაფარეს თავი, ევანია მაკედონიის „ვარდარში" გასინჯვის შემდეგ დაიტოვეს, წიკლაურის, თურმანიძის და ბოჭორიშვილის რუსეთში დარჩენა-არდარჩენის საკითხი კი ჯერ არ გადაწყვეტილა. ყოველივე ამის ფონზე, ბუნებრივია, „ფეროს" ოპტიმიზმი გასაკვირი იყო. ახლა „მარგვეთი" თბილისში გადის შეკრებას და ჩვენც ნოდარ კიკნაძე აქ მოვიხელთეთ. ჯერ წასულ მოთამაშეებზე ვისაუბრეთ.



ნოდარ კინაძე — მწვრთნელი და პრეზიდენტი — ვასილ ხაჭაპურიძე

**— თავდაპირველად ქებაძის, მარღიშვილისა და მაღლაკელიძის ქუთაისში წასვლის წინააღმდეგი იყავით, რა მოხდა შემდეგ — „ტორპედოს" ხელმძღვანელებს შეუთანხმდით?**

— არა, მათი გადასვლის თაობაზე ჩვენი თანხმობა არ ყოფილა, მაგრამ ეს მოთამაშეები მაინც წავიდნენ, რადგან ხელფასი და პრემია არ ჰქონდათ მიღებული, ფედერაციამაც გადაწყვიტა, რომ კონტრაქტის პირობები დავარღვიეთ. ეს საკითხი 10 თებერვალს გადაწყდა. მანამდე ქუთაისში ჩავედით ფეხბურთელების სანახავად და დავალიანების გასასტუმრებლად, მაგრამ ყოფილი მარგველები არ გვაჩვენეს. თუმცა, ქებაძეს, მარღიშვილსა და მაღლაკელიძეს არ ვამტყუნებ, მათ წასვლა სურდათ და ძალით მოთამაშეს ვერ გააჩერებ. მაგრამ ერთი რამ მაეჭვებს — რატა მაინცდამაინც „ტორპედოში" გადავიდნენ. ჩემი აზრით მიზანი ჩვენი დასუსტება და ამის ხარჯზე ქუთაისის გაძლიერება იყო. მესმის, რომ სხვა გუნდში გადასულიყვნენ, მაგრამ „ტორპედო" ხომ ჩვენი კონკურენტია? მათ პირველ წრეში თავისი საქმე კარგად შეასრულეს და მეოთხე ადგილზე დამკვიდრებაში დაგვეხმარნენ, თუმცა, ამ სამი ფეხბურთელის წასვლით არ წყდება ჩვენი ბედი.

**— ამ სამეულის გარდა სხვებიც წავიდნენ, ამით, ბუნებრივია, გუნდს ფინანსურად უნდა ეხეირა...**

— ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ. ეს ვასილ ხაჭაპურიძის საქმეა. თუ ფული აიღო, რასაკვირველია, ისევ გუნდს მოახმარს.

**— თქვენი ფინანსური მდგომარეობა ალბათ გაუმჯობესდა, რაკი გუნდმა თბილისში მოაწყო შეკრება...**

— შეიძლება მთლად ასე არ იყოს, მაგრამ ჩვენმა პრეზიდენტმა ნორმალური პირობები შეგვიქმნა მოსამზადებლად. თბილისში შეკრების ჩატარება, კვების საკითხი, სპორტული ინვენტარის პრობლემა სანახევროდ გადაჭრილია. იმედია, მალე ყველა ფინანსური პრობლემა მოგვარდება. შეკრებაზე უფრო ფიზიკურ მომზადებაზე გავამახვილებ ყურადღებას. ალბათ, ყოველ სამ დღეში საკონტროლო შეხვედრებსაც ჩავატარებთ. 22 თებერვალს „ლოკომოტივს" შევხვდებით, 25-ში „ივერიას". ძალიან მინდა, 28-ში „დინამო-2"-ს, შემდეგ კი „გორდას" ვეთამაშოთ. ამ დროისთვის წარმოდგენა მექნება ჩვენს მეტოქეზე და იმაზე, რისი იმედი უნდა მქონდეს ჩემპიონატში. თუმცა, ვიმეორებ, ჩემი უდიდესი სურვილი კვლავ ევროპაში გასვლაა.

**— შეკრების დაწყება ძალზე დააგვიანეთ. არადა, დამეთანხმებით, არასრული მომზადების შემდეგ მეოთხე ადგილის შენარჩუნება ძალიან გაგიჭირდებათ, მით უმეტეს თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „მარგვეთიდან" წამყვანი მოთამაშეები წავიდნენ. თქვენი მეტოქეები კი, თუ „გურიას" არ ჩავთვლით, უკეთეს მდგომარეობაში არიან...**

— მთავარია, რომ დაცვაში პრობლემა არ გვაქვს. გვენცაძე კვლავ რჩება, „გურიიდან" ბუცურეიშვილისა და თევზაძის დამატება გვსურს, ამის თაობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ეს საკითხი 2-3 დღეში გადაწყდება. მხოლოდ ნახევარდაცვისა და თავდასხმის ამბავი გვაფიქრებს. ალბათ, ჩვენთან ითამაშებს „სამტრედიის" კაპიტანი გელა ფანჩულიძე, რომელიც ჯერ კიდევ სეზონის წინ აპირებდა ჩვენთან გადმოსვლას. გელა ძალზე გვჭირდება. თუ ვასილ ხაჭაპურიძე ფინანსურ პრობლემას მოაგვარებს და განაცხადის ჩაბარებამდე სასურველი მოთამაშეების დამატების საშუალება გვექნება, „მარგვეთი" კვლავ იბრძოლებს ევროთასებზე გასასვლელად.

**— ამათ გარდა ვინ დაიმატეთ?**

— ხონიდან — ჭელიძე, უგულავა და ბარელაძე, „კახეთიდან" ჭაჭუა. გარდა ამისა, ჩვენთან საქართველოს 16 წლამდელთა ნაკრების ორი მოთამაშე ვარჯიშობს — მეკარე მერკვილიშვილი და შავგულიძე.

**— ამდენი მოთამაშის წასვლის შემდეგაც არ კარგავთ ოთხეულში მოხვედრის იმედს?**

— არავითარ შემთხვევაში: რა თქმა უნდა, „დინამო", „ბათუმი" და „კოლხეთი" ყველა კომპონენტში გვჯობნიან, მაგრამ „მერანთან", „ოდიშთან" და დანარჩენებთან ბრძოლა მაინც შეგვიძლია. შეკრებაზე სათამაშო სქემებს დავამუშავებთ, შემდეგ ისევ თეორიულ და ტაქტიკურ საკითხებს მივაქცევ ყურადღებას. იმედია, ეს შრომა უკვალოდ არ ჩაივლის.

**— თქვენთვის ეს პირველი სეზონი იყო მწვრთნელის ამპლუაში. უეჭველია, მრავალ ისეთ პრობლემას აღმოაჩენდით, მოთამაშე-კიკნაძისთვის უცნობი რომ იყო. არც მწვრთნელთა თეორიული კურსები გაგივლიათ. ესეც არ ლაპარაკობს თქვენს სასარგებლოდ...**

— მწვრთნელად მალტელებთან წაგების შემდეგ დამნიშნეს. მაშინ ნამდვილად არ მეცალა თეორიული კურსების გასავლელად. ამ მარცხმა გუნდში უმძიმესი ფსიქოლოგიური ვითარება შექმნა. მოთამაშეებს მოედნის დანახვაც არ სურდათ. არც მე მილხინდა, მაგრამ ტრაბახში არ ჩამომართვათ და, შევძელი მოთამაშეთა ასეთი მდგომარეობიდან გამოყვანა. ფსიქოლოგიურ ფაქტორს ფინანსური გასაჭირიც დაემატა — ჩვენი პრეზიდენტი ხელფასებსა და პრემიებს ვერ იხდიდა. ასეთ პირობებში, ვფიქრობ, დამწყები მწვრთნელისთვის მეოთხე ადგილზე ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. იმასაც ვაღიარებ, რომ „დილასთან" და „შევარდენთან წაგება ჩემი ბრალი იყო. თქვენ მითხარით, თეორიული ცოდნა გაკლიათო. ეს არც გამკვირვებია. გიპასუხებთ — მინდა კარგი მწვრთნელი გავხდე. საამისოდ ვემზადები გერმანულში, მწვრთნელთა კურსებსაც გავივლი და იმასაც დავამტკიცებ, რომ აბუჩად ასაგდები მწვრთნელი არა ვარ. თუნდაც იმიტომ, რომ ფეხბურთის გარდა არაფერი ვიცი. ისე, გარკვეული საფუძველი მეც მაქვს — ფიზკულტურის ინსტიტუტში მწვრთნელთა ფაკულტეტი დავამთავრე. ჩემზეა დამოკიდებული, როგორ ვიმუშავებ ჩემს თავზე და როგორ ცოდნას შევიძენ. თუმცა, მჯერა, რომ 10-12 წლის შემდეგ მწვრთნელ-კიკნაძეს აუგად ვერავინ მოიხსენიებს.

**— რა დაინახეთ მწვრთნელის საქმიანობაში ისეთი, რაც ფეხბურთელობისას შეუმჩნეველი იყო თქვენთვის?**

— ამაზე საათობით შემიძლია ვისაუბრო. როცა ფეხბურთს ვთამაშობდი, მწვრთნელობა გაცილებით იოლი საქმე მეგონა. არ მინდა ვინმეს თავი შევაცოდო, მაგრამ ბევრჯერ ისეთი საფიქრალი მქონია, ღამეები თეთრად მითენებია. ძალიან რთული ყოფილა მოთამაშეებთან ურთიერთობის მოგვარება, არც ყოფილი თანაგუნდელის მწვრთნელობაა ადვილი. გარდა ამისა, მწვრთნელი თავის თავზეც უნდა მუშაობდეს. ვზივარ, ვუყურებ „იუვენტუსის", „მილანის", „რეალისა" და „ბარსელონას" თამაშებს, რაღაცეებს ვინიშნავ, ვაანალიზებ, ვფიქრობ, რა შეიძლება გადმოვიღო, რა გაამართლებს და რა არა, ვამუშავებ ტაქტიკურ ვარიანტებს. მოკლედ, მწვრთნელობა ისეთი სამყაროა, რასაც მოთამაშე ვერც წარმოიდგენს.

**— მუშაობისას რას აქცევთ ყურადღებას?**

— უპირველესად ფიზიკურ მომზადებას. თუ ფეხბურთელი ფიზიკურად არ არის მომზადებული, მოედანზე თავდაჯერებული ვერ იქნება. ეს ქართული ფეხბურთის სენია. რუსები ყოველთვის გვჯობდნენ ფიზიკაში და ამიტომაც იყვნენ უფრო მაღალ დონეზე. აღარას ვამბობ ევროპელებზე. როდესაც მოთამაშე ფიზიკურად ძლიერია, დავალებასაც უკეთ ასრულებს.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ დისციპლინას. ვაღიარებ — ეს ჩემი ნაკლი იყო და ახლა ვხვდები, რამდენი წავაგე ამის გამო. ამიტომ მინდა, „მარგვეთში" სასურველი დისციპლინა დავამყარო. თუმცა, არც ისე ადვილია, რამე მოსთხოვო მოთამაშეებს, როცა ხელფასსა და პრემიას ვერ უხდი. როცა ყველა დავალიანება გასტუმრებულია, მაშინ თავად ფეხბურთელი სთხოვს თავის თავს მწვრთნელზე მეტს. უფულო ფეხბურთელს კი რა უნდა მოთხოვო, ხათრით ხომ ვერ ითამაშებს. თუმცა, პირველ წრეში ვერცერთ შემთხვევას გავიხსენებ, „მარგვეთის" მოთამაშეს მსაჯთან კამათი რომ დაეწყოს ან უდისციპლინოებით გამოეჩინოს თავი. დისციპლინა ბევრს ნიშნავს, უდისციპლინო გუნდი გუნდი არ არის.

**მერაბ მამულაშვილი**

## „კოლხეთს" თამაშიც დაუწყია

ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ბურგასში იმყოფება ფოთის „კოლხეთი". ჩვენ დავუკავშირდით გუნდის უფროს ვახტანგ ხაინდრავას, რომელმაც ფოთელთა მიერ ჩატარებული საკონტროლო შეხვედრების ანგარიშები გვაცნობა, ჯერჯერობით „კოლხეთმა" ხუთი მატჩი გამართა. უკრაინის „სტალ-ალჩევსკისთან" დიდი ანგარიშით წააგო — 0:4, მეორე შეხვედრაში ასეთივე ანგარიშით სძლია რუსეთის ელეცის „ლოკომოტივს" (გოლები ღლანიძემ, დარასელიამ, მახარაძემ და გვასალიამ გაიტანეს), მესამე და მეხუთე შეხვედრები ფრედ დასრულდა სტავროპოლის „დინამოსთან" 0:0 და ერევნის „არარატთან" 1:1 (ყულეჯიშვილი). სომხებამდე ჩვენებურებმა დათმეს შეხვედრა ბულგარელებთან — ზოლოტოი ბერეგის „ნესებართან" 1:2 (მახარაძე). გუშინ ფოთელები ბოლო საკონტროლოს ატარებდნენ უკრაინის უმაღლეს ლიგელ „კრემენჩუკთან". კოლხები ბურგასში ორიოდე დღითაც დაყოვნდებიან და შინ გამოემგზავრებიან.

## „ბათუმი" თურქეთს გაემგზავრა

ოთხიოდე დღის წინ თურქეთს გაემგზავრა „ბათუმი", სადაც სეზონისწინა შეკრებას გაივლის. „ბათუმი" მესამე ქართული გუნდია „დინამოსა" და „კოლხეთის" შემდეგ, რომელიც ჩემპიონატისთვის უცხოეთში ემზადება. ბათუმელებს საკონტროლო მატჩების გამართვაც სურთ, სათასო შეხვედრების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე კი საქართველოში დაბრუნდებიან.

## ბერიშვილი მოლოდინშია

სამტრედიელ ლევან ბერიშვილს ერთი იმედი უკვე გაუცრუვდა — ძოძუაშვილს მისთვის ლატვიაში გუნდი უნდა გამოეძებნა, ჩვენთან საუბარში კი მწვრთნელმა აღნიშნა: „რასაც ნორმალური გუნდი ჰქვია პირობებითა და დონით, „სკონტო" და „ვესფელია", აქ კი უკვე ჩამოვიყვანე ქართველები. მე კი არ მსურს ჩვენებური მოთამაშე ისეთ გუნდში ჩაირიცხოს, სადაც მსგავსი პირობები არ ექნება. ბერიშვილის თაობაზე რუსეთის უმაღლეს ლიგაში გადასული იაროსლავლის „შინიკის" მთავარ მწვრთნელს და მენეჯერსაც ვესაუბრე. „შინიკი" ბერიშვილით დაინტერესებულა, თუმცა ჯერ კონკრეტულად მოთამაშეს არ დალაპარაკებიან, რადგან იაროსლაველები შეკრებაზე გაემგზავრნენ".

ბერიშვილით ფოთელებიც დაინტერესდნენ, რომელთაც გახოკიძის წასვლით მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე პრობლემა შეექმნათ. ბერიშვილი კი სწორედ ამ პოზიციაზე ანაც თავდასხმაში თამაშობს. შეგახსენებთ, რომ ბერიშვილმა „სამტრედიის" არეული ფინანსური მდგომარეობის გამო გუნდიდან წამოსვლა ისურვა. „სამტრედიის" პრეზიდენტი ტარიელ ჩაჩუა ამაზე თანახმაა, ოღონდ იმ პირობით, თუ დაინტერესებული გუნდი ბერიშვილის სატრანსფერო თანხას გადაიხდის.

## თასის კენჭისყრა 25-ში გაიმართება

25 თებერვალს ანუ დღეის სწორს უნდა გაიმართოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მორიგი სხდომა, რომელზეც ეროვნული გუნდის ახალდანიშნული ხელმძღვანელობა ნაკრების მზადების პროგრამას წარადგენს. აღმასკომის სხდომა 14 საათზე დაიწყება. 25 თებერვალი იმითაც იქნება საინტერესო, რომ დაგვადგება საშველი და მოეწყობა თასის გათამაშების კენჭისყრაც, რომელიც მეოთხედფინალისტებს დააწყვილებს. როგორც ფედერაციის პრეს-სამსახურში გვაცნობეს, კენჭისყრა 15 საათზე დაიწყება.

მამუკა ქვარაცხელია



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გოგოლაძემ თურქმენებს მოაგებინა



კახა გოგოლაძე

19 თებერვალს, თურქმენეთის პრეზიდენტ საფარმურატ ნიაზოვის თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მასპინძელთა კლუბების ნაკრები და ჩვენი „დინამოს" მძლეველი პოლტავის „ვორსკლა". მასპინძლებმა კახა გოგოლაძის ბრწყინვალე თამაშის წყალობით გაიმარჯვეს. ანგარიში მე-15 წუთზე კახამ გახსნა, 62-ზე უკრაინელმა გუზენკომ გაათანაბრა, გადამწყვეტი გოლი კი ისევ გოგოლაძემ გაიტანა თამაშის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე და თურქმენები საკუთარი პრეზიდენტის თასის პირველი მფლობელები გახადა. ფინალში ტრავმის გამო ვერ მონაწილეობდა თურქმენთა მეორე ქართველი ბუბა ტყავაძე. კახა გოგოლაძეს ორი პრიზი გადასცეს — ბომბარდირისა (თანაგუნდელ გულიანის დარად 4 გოლი გაიტანა) და საუკეთესო თავდამსხმელისა. ყველა ელოდა, რომ სწორედ ქართველს დაასახელებდნენ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ, მაგრამ საბოლოოდ მაინც თავისიანს, მერედოვს ასიამოვნეს. საუკეთესო მწვრთნელად თურქმენთა გამწვრთნელი ელგუჯა გუგუშვილი მიიჩნიეს, რომელსაც აქ უდიდეს პატივს სცემენ. ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში კი დინამოელი დავით ყიზილაშვილი შეიყვანეს. ფინალისტებმა ფინანსურადაც იხეირეს — გამარჯვებულმა 50 ათასი დოლარი მიითვალა, „ვორსკლამ" კი 25 ათასი.

მაღალეფექტური ფხვნილი

SHALLEM

რომელიც დამზადებულია მხოლოდ საკვები პროდუქტებით, მკურნალობს სტომატიტს, ანგინას და ღრძილების ანთებას.
მკურნალობის ვადა 2-3 დღეა.
ფხვნილი ლიცენზირებულია.

დარეკეთ 37-06-53

იკითხეთ თამრიკო

იყიდება

ირანული გაზის ბალონების ფითილები და შუშები საბითუმო ფასებში.

ტელ: 95-22-56 საღამოს საათებში

# როინ კერძევაძე: მარტო სახელი თამაშს არ იგებს!


გურამ ლომჯარიას ფოტო

**წელს „დინამოს“ კაპიტნად ბაჯბაჯად წოდებული როინ კერძევაძე მოგვევლინა. სამკლაური კი მოირგო ბაჯბაჯამ, მაგრამ მოსკოვში გადამწყვეტი პენალტი ააცილა „სკონტოს“ კარს და... „დინამოს“ დაღმასვლაც დაიწყო: სამი სამარცხვინო წაგება თურქმენეთში შავ ლაქად შერჩება „დინამოს“ ისტორიას. ბედი არ გინდა, ჭაბუკთა თუ ახალგაზრდულ ნაკრებებში ზურა მაისურაძის ჯილა კერძევაძე სულ კაპიტნის სამკლაურით გამოიდიოდა და ლამის ყველა ტურნირს იგებდა, ახლა კი...**

—მოსკოვში კუდინოვი რომ გაგვიგდეს, კაპიტნობა არავის უნდოდა და მეორე მატჩზე კაპიტნად ყიფიანმა დამნიშნა. გული მიგრძნობდა ალბათ და თავიდან უარიც კი განვუცხადე. ყიფიანი გადაირია, ადრე „დინამოში“ გუნდის კაპიტნობაზე თავს იკლავდნენ და ამ თაობას რა მოგივიდათო. ასე იყო თუ ისე, მოსკოვში მეტად თავდაჯერებული გავემართე პენალტის დასარტყმელად, გულში უკვე ნახევარფინალზე ვფიქრობდი, თანაც გადამწყვეტი პენალტის მერე ხელების ასაწევად და მილოცვების მისალებად ვემზადებოდი. მაგრადაც დავარტყი, მაგრამ ბედმა ზედმეტი თავდაჯერებისათვის დამსაჯა და იმწამსვე მივხვდი, რომ გუნდიც დაისჯებოდა. ასეც მოხდა, მე კი დავიფიცე რომ პენალტს აღარასდროს დავარტყამ...

**— თურქმენეთში რაღა დაგემართათ?**

— ცხვირაწეულები ჩამოვედით. ყველას ისეთი გრძნობა გვქონდა, რომ არასაფეხბურთო სამყაროში მოვხვდით. თანაც ახლა ისეთი გუნდი ვართ, თუ თავიდან არ წაგვივიდა, მორჩა, აღარაფერი გვეშველება.

ერთია კიდევ — წელს მოსკოვამდე რომ ვითამაშეთ მინდორზე, მას მერე აღარ გვითამაშია. მოსკოვის მანეჟის მერე ბურთისთვის ფეხი არ დაგვიკარებია. თანაც ეს თუ მოედნის საფარია და...

მიზეზი კიდევ ისაა, რომ სახელი „დინამო“ ყველაზე გამაღიზიანებლად მოქმედებს: დაგეშილი ძაღლებივით გვეთამაშებოდნენ მეტოქეები, ჩვენ კი „ზემოდან“ ვუყურებდით.

**— ყიფიანის არყოფნაზე არაფერი გითქვამს...**

— ყიფიანიც არ ყოფილა ზოგჯერ და აკობიას გავუყვანივართ, მაგრამ პრინციპული თამაშები მოგვიგია — ბათუმში ორჯერ, ქუთაისში...

ჩვენ, ძველები — მე და ყიზო სწორედ აკობიას მოყვანილები ვართ გუნდში და მუდამ მხარში ვედექით...

**— პირველი წაგების მერე რატომ ვერ გამოფხიზლდით?**

— მეორე მატჩი „ატაკასთან“ დაიწყო თუ არა, გოლი შევაგდეთ. უსუსტესი გუნდი იყო და პირველივე ტაიმში 5:0 უნდა მოგვეგო, მაგრამ მსაჯმა აილო ნამუსზე ხელი, ორი პენალტი არ დადო, მერე ისევ ავირიეთ, არ ველოდით, თუ ასეთ წინააღმდეგობას გაგვიწევდნენ.

„ვორსკლა“ კი საკმაოდ ძლიერი გუნდი იყო, იარემჩუკი და შარი დიდი ძალაა, ჩვენ ყველა შანსი დაკარგული გვქონდა და დარჩენილი მატჩები მოსამზადებლად გამოვიყენეთ. ისე, პირველი ტაიმი არც „ვორსკლას“ დავუთმეთ...

ერთსაც გეტყვით: ჩვენს ეროვნულ სტადიონზე რომ ყოფილიყო ეს მატჩები, ამათ შავ დღეს ნახავდით.

**— ლამის გუნდის ყველაზე „ხნიერი“ წევრი ხარ. ნუთუ ძველებს არ გრცხვენიათ ასეთი წაგებების მერე ახალგაზრდა თანაგუნდელების შეხედვა?**

— არ ვიმჩნევ, თორემ მაგაზე არ ვგიჟდები? მე რომ „დინამოში“ ვთამაშობდი, მუჯირი და დემეტრაძე მაშინ „აუტჩიკები“ იყვნენ და ისე მიყურებდნენ, როგორც ძალიან დიდ ვინმეს. ახლა ეს ბიჭები ჩემს გვერდით თამაშობენ.

ტრავმებმაც დაგვტანჯა — მე, ყიზო, ზოიძე, ზამთარაძე, კიკნაძე, დიმიტრიშვილი, დემეტრაძე, დავითნიძე და ხომერიკი ჩამოსვლის მეორე-მესამე დღეს უკვე ავად ვიყავით: ზოგს ტრავმა გაუმიზეზდა, ზოგს სიცხემ აუწია, ზოგსაც თავი წამოსტკივდა, აკლიმატიზაციამ გაგვაწვალა.

**— მეოთხე მატჩი, ძველებს რომ არ გითამაშიათ, „დინამომ“ ყველაზე ძლიერად ითამაშა და არც წააგო.**

— „ნურავშონი“ ყველაზე სუსტი გუნდი იყო, თანაც ამ ერთი კვირის განმავობაში ასე თუ ისე შევეგუეთ მინდორს და სიტუაციასაც, თანაც ახალგაზრდებს შანსს რომ მისცემ, თავს მოიკლავენ. ახლა რომ იწყებოდეს ტურნირი, არა მგონია, ასეთი შედეგები განმეორდეს.

**— სადაცაა ჩვენი ჩემპიონატი განახლდება...**

— ბოლო ორი მატჩიც ამიტომ გამოვიყენეთ მოსამზადებლად. ახლა ჩავალთ თბილისში და ერთ კვირაში ურთულესი მატჩი გველის ზუგდიდში. მერე, 4 და 7 მარტს თასზე ვთამაშობთ. 10 მარტს კი კიევის „დინამო“ ჩამოდის. უნდა გავამწაროთ, ჩემთვის ეს თამაში გამოცდასავით იქნება. ეს ტურნირიც ჭკუის სასწავლებლად გამოგვადგება.

**— სანამ ჩავალთ, „სარბიელის“ ეს ნომერიც გამოვა. რას ეტყვი ქართველ გულშემატკივრებს?**

— მხარში ამოგვიდგნენ, ჩვენი წაგება ნუ გაეხარდებათ, რათა მერე ნიშანი მოგვიგონ. ახლა უფრო გვინდა მხარდაჭერა. შარშან ხომ განვაცდევინეთ სასიამოვნო წუთები და ეს წაგებები გულს ნუ გაუტეხავთ, ეს უნდა მომხდარიყო. მოკლედ, ძვირფასო გულშემატკივრებო, ხელს ნუ ჩაიქნევთ და მხარში დაგვიდექით. ჩვენ ისევ გაგახარებთ.

**— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ თურქმენეთში „დინამოს“ შებღალულ სახელს ეშველება?**

— მართალი ხარ, სამარცხვინოდ გამოხვედით. რა ვიცი, ალბათ კიდევ მოგვიწევს ოდესმე აქ ჩამოსვლა და მაშინ გავსწორდებით...

მოკლედ, ეგრეა — მარტო სახელი თამაშს არ იგებს...

**მამუკა კვარაცხელია**
**აშხაბადიდან**

# საქართველოს VIII ჩემპიონატი II ჯგუფის აღმოსავლეთის ზონა II წრის კალენდარი

**XXII ტური**
**4 მარტი, სამშაბათი**
ლოკომოტივი — დურუჯი
დინამო 2 — ავაზა
მრეტები — 35-სტუ
იბერია — თორი
ენერგეტიკოსი — ჭაბუკიანი

**5 მარტი, ოთხშაბათი**
კოდაკო — მორკინალი
შევარდენი 2 — ცხინვალი
არმაზი — მესხეთი
შსს აკადემია — ჟინერი
ასკ — შირაქი

**XXIII ტური**
**9 მარტი, კვირა**
ჭაბუკიანი — ლოკომოტივი
ჟინერი — ასკ
მესხეთი — შსს აკადემია
ცხინვალი — იბერია
მრეტები — შევარდენი 2

**10 მარტი, ორშაბათი**
შირაქი — ენერგეტიკოსი
თორი — არმაზი
ავაზა — მორკინალი
დინამო 2 — დურუჯი
35-სტუ — კოდაკო

**XXIV ტური**
**14 მარტი, პარასკევი**
ლოკომოტივი — დინამო 2
დურუჯი — მორკინალი
35-სტუ — ავაზა
შევარდენი 2 — კოდაკო
იბერია — მრეტები

**15 მარტი, შაბათი**
არმაზი — ცხინვალი
შსს აკადემია — თორი
ასკ — მესხეთი
ენერგეტიკოსი — ჟინერი
შირაქი — ჭაბუკიანი

**XXV ტური**
**19 მარტი, ოთხშაბათი**
შირაქი — ლოკომოტივი
მესხეთი — ენერგეტიკოსი
ცხინვალი — შსს აკადემია
კოდაკო — იბერია
შევარდენი 2 — ავაზა

**20 მარტი, ხუთშაბათი**
ჭაბუკიანი — ჟინერი
თორი — ასკ
დურუჯი — 35-სტუ
მორკინალი — დინამო 2
მრეტები — არმაზი

**XXVI ტური**
**24 მარტი, ორშაბათი**
ლოკომოტივი — მორკინალი
35-სტუ — დინამო 2
შევარდენი 2 — დურუჯი
არმაზი — კოდაკო
მესხეთი — ჭაბუკიანი

**25 მარტი, სამშაბათი**
ავაზა — იბერია
შსს აკადემია — მრეტები
ასკ — ცხინვალი
ენერგეტიკოსი — თორი
ჟინერი — შირაქი

**XXVII ტური**
**29 მარტი, შაბათი**
ჟინერი — ლოკომოტივი
დურუჯი — იბერია
შირაქი — მესხეთი
მორკინალი — 35-სტუ
არმაზი — ავაზა
ჭაბუკიანი — თორი
ცხინვალი — ენერგეტიკოსი
მრეტები — ასკ
კოდაკო — შსს აკადემია
დინამო 2 — შევარდენი 2

**XXVIII ტური**
**3 აპრილი, ხუთშაბათი**
35-სტუ — ლოკომოტივი
იბერია — დინამო 2
არმაზი — დურუჯი
ენერგეტიკოსი — მრეტები
მესხეთი — ჟინერი

**4 აპრილი, პარასკევი**
შევარდენი 2 — მორკინალი
ავაზა — შსს აკადემია
ასკ — კოდაკო
ჭაბუკიანი — ცხინვალი
თორი — შირაქი

**XXIX ტური**
**8 აპრილი, სამშაბათი**
მესხეთი — ლოკომოტივი
ჟინერი — თორი
ცხინვალი — შირაქი
დურუჯი — შსს აკადემია
კოდაკო — ენერგეტიკოსი
ჭაბუკიანი — მრეტები
ასკ — ავაზა
დინამო 2 — არმაზი
მორკინალი — იბერია
35-სტუ — შევარდენი 2

**11 აპრილი, პარასკევი**
ჭაბუკიანი — დინამო 2

**XXX ტური**
**15 აპრილი, სამშაბათი**
ლოკომოტივი — შევარდენი 2
თორი — მესხეთი
შსს აკადემია — დინამო 2
ავაზა — ენერგეტიკოსი
ჟინერი — ცხინვალი

**16 აპრილი, ოთხშაბათი**
იბერია — 35-სტუ
არმაზი — მორკინალი
ასკ — დურუჯი
კოდაკო — ჭაბუკიანი
მრეტები — შირაქი

**XXXI ტური**
**20 აპრილი, კვირა**
თორი — ლოკომოტივი
ცხინვალი — მესხეთი
მრეტები — ჟინერი
დურუჯი — ენერგეტიკოსი
დინამო 2 — ასკ

**21 აპრილი, ორშაბათი**
შირაქი — კოდაკო
ავაზა — ჭაბუკიანი
მორკინალი — შსს აკადემია
35-სტუ — არმაზი
იბერია — შევარდენი 2

**XXXII ტური**
**25 აპრილი, პარასკევი**
იბერია — ლოკომოტივი
არმაზი — შევარდენი 2
მესხეთი — მრეტები
დურუჯი — ჭაბუკიანი
ენერგეტიკოსი — დინამო 2
შსს აკადემია — 35-სტუ
ასკ — მორკინალი
შირაქი — ავაზა
ჟინერი — კოდაკო
თორი — ცხინვალი

**XXXIII ტური**
**29 აპრილი, სამშაბათი**
იბერია — არმაზი
შევარდენი 2 — შსს აკადემია
35-სტუ — ასკ
მორკინალი — ენერგეტიკოსი
ცხინვალი — ლოკომოტივი
კოდაკო — მესხეთი
ავაზა — ჟინერი
შირაქი — დურუჯი
30 აპრილი, ოთხშაბათი
მრეტები — თორი

**XXXIV ტური**
**4 მაისი, კვირა**
ლოკომოტივი — არმაზი
შსს აკადემია — იბერია
დურუჯი — ჟინერი
მესხეთი — ავაზა
დინამო 2 — შირაქი

**5 მაისი, ორშაბათი**
მრეტები — ცხინვალი
თორი — კოდაკო
მორკინალი — ჭაბუკიანი
ენერგეტიკოსი — 35-სტუ
ასკ — შევარდენი 2

**XXXV ტური**
**9 მაისი, პარასკევი**
მრეტები — ლოკომოტივი
იბერია — ასკ
ენერგეტიკოსი — შევარდენი 2
ცხინვალი — კოდაკო
ავაზა — თორი
მესხეთი — დურუჯი
შირაქი — მორკინალი
შსს აკადემია — არმაზი

**10 მაისი, შაბათი**
ჭაბუკიანი — 35-სტუ
ჟინერი — დინამო 2

**XXXVI ტური**
**14 მაისი, ოთხშაბათი**
ლოკომოტივი — შსს აკადემია
ენერგეტიკოსი — იბერია
დურუჯი — თორი
ცხინვალი — ავაზა
დინამო 2 — მესხეთი

**15 მაისი, ხუთშაბათი**
არმაზი — ასკ
ჭაბუკიანი — შევარდენი 2
35-სტუ — შირაქი
მორკინალი — ჟინერი
კოდაკო — მრეტები

**XXXVII ტური**
**19 მაისი, ორშაბათი**
კოდაკო — ლოკომოტივი
ავაზა — მრეტები
იბერია — ჭაბუკიანი
მესხეთი — მორკინალი
ჟინერი — 35-სტუ
შევარდენი 2. — შირაქი

**20 მაისი, სამშაბათი**
ცხინვალი — დურუჯი
ასკ — შსს აკადემია
თორი — დინამო 2
ენერგეტიკოსი — არმაზი

**XXXVIII ტური**
**23 მაისი, პარასკევი**
ლოკომოტივი — ასკ
35-სტუ — მესხეთი
ჭაბუკიანი — არმაზი
შირაქი — იბერია
მორკინალი — თორი
დინამო 2 — ცხინვალი
დურუჯი — მრეტები
კოდაკო — ავაზა
ჟინერი — შევარდენი 2

**24 მაისი, შაბათი**
შსს აკადემია — ენერგეტიკოსი

**XXXIX ტური**
**27 მაისი, სამშაბათი**
ავაზა — ლოკომოტივი
ენერგეტიკოსი — ასკ
მრეტები — დინამო 2
ცხინვალი — მორკინალი
თორი — 35-სტუ
შევარდენი 2 — მესხეთი
იბერია — ჟინერი

**28 მაისი, ოთხშაბათი**
კოდაკო — დურუჯი
არმაზი — შირაქი
შსს აკადემია — ჭაბუკიანი

**XXXX ტური**
**1 ივნისი, კვირა**
ლოკომოტივი — ენერგეტიკოსი
ჭაბუკიანი — ასკ
შირაქი — შსს აკადემია
ჟინერი — არმაზი
მესხეთი — იბერია
თორი — შევარდენი 2
35-სტუ — ცხინვალი
მორკინალი — მრეტები
დინამო 2 — კოდაკო
ავაზა — დურუჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლონეთი ოქმის გარეშეობს

საფრანგეთისკენ გზაზე საქართველოს ნაკრებს პოლონეთიც გადაეღობება. ქვეჯგუფში ჩვენი ორი მეტოქის — იტალია-ინგლისის დუელი უკვე ვიხილეთ, პოლონელთა სამზადისის შესახებ კი არაფერი გვსმენია. პირველსავე შესარჩევ მატჩში, წელს რომ გაიმართება, პოლონელები იტალიელებს მასპინძლობენ, ამიტომ ცდას არ აკლებენ, ღირსეულად რომ დახვდნენ „სკუადრა აძურას". მზადების პირველ ეტაპად მათ კვიპროსის საკმაოდ დაბალი დონის ტურნირი ირჩიეს, რომელიც გარდა იმისა, რომ ტრადიციულია, არაფრით გამოირჩევა და ძალზე ცუდად არის ორგანიზებული. თამაშები მიყრუებულ ქალაქებში, უხეირო სტადიონებზე და უხარისხო მინდვრებზე იმართება. შეიძლება ითქვას, პოლონელები ტურნირზე მეორე შემადგენლობით გაემგზავრნენ და ალბათ ამიტომაც იყო, პირველი მატჩი ლიტველებთან ფრედ 0:0 რომ ითამაშეს. მეორე ტურში მათ მასპინძლები ეთამაშნენ, უფრო სწორად, ნამდვილი ომი გაუმართეს. სტადიონზე დატრიალებული ამბები მართლაც რომ არ ეკადრებოდა საერთაშორისო მატჩს. პოლონელები კვიპროსელებს ასეთი შემადგენლობით დაუპირისპირდნენ: შამოტულსკი, სკრავეპეკი, ეგორი, კრიგერი, კალუჟნი, ციტკო, ჰაიტო (ბერენშტეინი 67), ლედგოვი, კუხარსკი, სოკოლოვსკი და მაიაკი. თვალის ერთი გადავლებითაც ნათელია, რომ სტუმრები სათადარიგო შემადგენლობით ეკტუმრნენ კვიპროსს, „უემბლიზე" ინგლისელთა კარში გატანილი გოლის ავტორ მარეკ ციტკოს თუ არ ჩავთვლით.

პირველმა ტაიმმა სტუმართა საგრძნობი უპირატესობით ჩაიარა. მასპინძლებმა ერთხელაც ვერ შეძლეს შამოტულსკის კარისკენ ხეირიანად დარტყმა. ციტკომ კი დაამტკიცა, რომ დღესდღეობით პოლონეთის საუკეთესო ფეხბურთელია. მან მთელი შეხვედრა ჩინებულად ჩაატარა, მის ნაკრებსაც აშკარად ეტყობოდა პეხნიჩეკის ხელი. პოლონელებმა თავდასხმაში იუსკოვიაკი და ვარჟიხა მოისაკლისეს, მაგრამ უკვე მე-16 წუთისთვის 2:0 იგებდნენ. პირველი გოლი მე-9 წუთზე კუხარსკიმ გაიტანა, შვიდ წუთში სოკოლოვსკიმ მეორეც დაამატა. პირველ ტაიმში სტუმრებმა 3-4 ნაღდი საგოლე მომენტი გააცუდეს, მე-20 წუთზე მასპინძელთა ძელიც კი შეაზანზარეს. მოკლედ, პირველ ტაიმში მეტოქე აშკარად დაჯაბნეს. მეორეში მსაჯი არაფერს მოერიდა, თანამემამულენი მარცხისგან რომ ეხსნა — მისი არაობიექტურობა ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. კვიპროსელების უხეშ თამაშზე არბიტრი აშკარად თვალს ხუჭავდა, პოლონელთა მიერ წესის დარღვევა კი არ გამოეპარებოდა-ხოლმე. მე-60 წუთზე სტუმართა საჯარიმოში წააქციეს ოსაკა, არბიტრმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რამაც ვნებათაღელვა გამოიწვია — მეტოქეებმა ლამის საჩხუბრად გაიწიეს ერთმანეთზე. პაპავასილიუმ შანსი ხელიდან არ გაუშვა და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. ერთ წუთში კუხარსკიმ ხაჯილუკასს გაარტყა, ამან კი ქვა მოიმარჯვა და შური ისე იძია. მომდევნო სამი წუთი მსაჯმა საქმის გარჩევას მოანდომა და თამაში ხუთი წუთის შემდეგ განახლდა. მალე ტანმაღალმა კალუჟნიმ მასპინძელთა კარში თავურით მესამე შეაგდო და სტუმართა ვნებები დროებით დააოკა, თუმცა 67-ე წუთზე ხარალამბუსის მიერ გატანილმა გოლმა კონფლიქტი კვლავ გააღვივა. დარჩენილ 18 წუთში არბიტრმა ყველაფერი იკადრა, მისიანებს რომ გაეყაიმებინათ, მაგრამ პოლონელებმა უშეცდომოდ ითამაშეს და გაიმარჯვეს. ბოლო ტურში ისინი ლატვიელებს შეხვდებიან და მათთან მოგებით, ალბათ, ოფიციალურად გააფორმებენ ტურნირში გამარჯვებას.

ცნობილი გახდა, რომ 2 აპრილამდე, იტალიელებთან შეხვედრამდე, პოლონელები კიდევ ერთ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გამართავენ. 26 თებერვალს საქართველოს ნაკრების მეტოქე გოანიაში ბრაზილიას დაუპირისპირდება. ჯერჯერობით უცნობია, რა შემადგენლობით წაიყვანს პეხნიჩეკი ნაკრებს ოკეანის გაღმა, ბრაზილიამ კი უკვე დაასახელა შემადგენლობა. მარიო ზაგალომ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ ნაკრებში პირველად უხმო ბოლო ხანს რიო-დე-ჟანეიროს „ფლამენგოში" ჩინებულად მოთამაშე რომარიოს. 31 წლის ფორვარდმა, ვინაც ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 38 მატჩში 19 გოლი შეაგდო, თავი ანება ანცობას, ქარაფშუტულ ცხოვრებას და სერიოზულად დაუბრუნდა ფეხბურთს. მისი წყალობით „ფლამენგო" რიო-სან პაულუს ჩემპიონატის ფინალში გავიდა, რიოს შტატის ჩემპიონატის პირველ ორ შეხვედრაში კი რომარიომ ოთხი გოლი გაიტანა. რომ შეიტყო, ნაკრებში მიმიწვიესო, ფეხბურთელმა განაცხადა: „18 წლის ბიჭი მგონია თავი, ნაკრებში სადებიუტო მატჩს რომ ელოდება. მიხარია, რომ კვლავ დავიცავ ბრაზილიის ნაკრების ღირსებას." ზაგალომ კი რომარიოს მიწვევა ასე ახსნა: „იგი შეიცვალა. ჩემი უნდობლობაც მის მიმართ უკვალოდ გაქრა." რომარიოს გარდა მწვრთნელმა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა ნაკრებში კიდევ 21 მოთამაშე გამოიძახა: მეკარეები: კარლუშ ავერმანო (ვასკუ და გამა), კლემერი (პორტუგეზა); მცველები: კაფუ (პალმეირასი), პიმენტელი (ვასკუ და გამა), რობერტო კარლოსი (რეალი), ზე რობერტუ (პორტუგეზა), ალდაირი (რომა), კლებერი (პალმეირასი), ზელიუ სილვა (კორინთიანსი), ბორდონი (სან პაულუ); ნახევარმცველები: მაურო სილვა (ლა-კორუნია), დორივა (ატლეტიკო მინეირო), მარსელინის პაულისტა (ბოტაფოგო), ლეონარდო (პსჟ), ჟუნინიო (მიდლსბრო), ემერსონი (გრემიო), დენილსონი (სან პაულუ); თავდამსხმელები: რონალდო, ჯოვანი (ორივე ბარსელონა), პაულუ ნუნიესი (გრემიო), ოსეაში (ატლეტიკო პარანაენსე).

**ლაშა გოდუაძე**

## ინგლისი

**ლიგის თასის ნახევარფინალის პირველი მატჩი**

**ლესტერი 0:0 უიმბლდონი**

**ლესტერი:** კელერი, გრეისონი, ალსორნი (ლოურენსი 12), უოტსი, უოლში, პრაიორი, იზეტი, ტეილორი, კლერიჯი, პარკერი, ჰესკი

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ჯოუნზი, ბლექველი, ლეონარდსენი, ერლი, პერკინსი, გეილი (მოლდხურსი 89), ჰერი, გუდმენი

**გაფრთხილება:** გრეისონი

სამ დღეში „ლესტერმა" ორი სათასო მატჩი ითამაშა შინ. პირველში „ჩელსისთან" ჯერ ორი ბურთი გაუშვა, მერე ამდენივე გაიტანა. ახლაც, ოღონდ უკვე ლიგის თასზე, ფრედ ითამაშა და თუ განმეორებით მატჩში გაიმარჯვა, პირველად გავა ლიგის თასის ფინალში. „ლესტერი" თითქმის მთელი შეხვედრა უტევდა, მაგრამ გატანა ვერა და ვერ მოახერხა. მასპინძელთა შემადგენლობაში პირველად ითამაშა ესპანეთის „ოსასუნასგან" 600 ათას გირვანქად ნაყიდმა რობერტ ალსორნმა, თუმცა მისთვის პირველი მატჩი დანავსული გამოდგა: მე-12 წუთზე ალსორნმა კანინგემის გადაცემა ჩაჭრა და წინაც გაემართა, მაგრამ უცებ მოცელილივით დაეცა, ისე, რომ არავინ შეხებია. ტრავმა მძიმე აღმოჩნდა. ვარაუდით, ალსორნს ფეხი უნდა ჰქონდეს მოტეხილი. მოედნიდან იგი პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს. მე-8 წუთზე სალივანმა ჰესკის დარტყმა კუთხურზე მოიგერია. ერთ წუთში კლერიჯსაც აუღო. სტუმართა კონტრშეტევას კინაღამ გოლი მოჰყვა: ჯოუნზმა ბრწყინვალე პასით უოტს, უოლშს და პრაიორს შორის გაიყვანა ერლი, თუმცა ამან ვერ ივარგა. „უიმბლდონის" შეტევას მასპინძელთა გააფთრება მოჰყვა, თუმცა ისინი ისე არ იკბინებოდნენ, როგორც იღრინებოდნენ. 22-ე წუთზე ალან კიმბლის ჩაწოდებულით ჯოუნზმა ვერ იხეირა — ბურთი კარს საკმაოდ ააცილა. სამ წუთში მეტოქის საჯარიმოში ჰესკიმ კლერიჯს გადააწოდა, ამ უკანასკნელის დარტყმა მცირედით ასცდა კარს. ტაიმის მიწურულს თამაში გაიხსნა და შემტევი ფეხბურთიც გაჩაღდა. მე-40 წუთზე კვლავ ჰესკის პასით ამჯერად იზეტმა ვერ იხეირა — ახლოდან დარტყმული სალივანმა აუღო. მეორე ნახევარში ლოურენსმა საჯარიმოში ჩააწოდა, ჰესკიმ თავით დაუგდო კლერიჯს, ამან კი კვლავ ააცილა. მოგვიანებით ტეილორმა ისეთი ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა, საიდანაც აცილება უფრო ძნელი იყო, ვიდრე გატანა. 67-ე წუთზე ჰესკის დარტყმა კიმბლის ფეხზე მოხვდა და რიკოშეტით კუთხურზე გავიდა. 72-ე წუთზე კლერიჯი ორ მეტოქეს გაექცა, ახლოდანაც დაარტყა, მაგრამ ბურთმა არც მაშინ და არც მერე კარში შესვლა არ ინება.

**ლევან ჩხეიძე**


ბრიუს გრობელაარი

# სასამართლოს დარბაზიდან - 11

ოც დღეზე მეტია, რაც ვინჩესტერის სამეფო სასამართლო იხილავს ინგლისურ ფეხბურთში ბოლო ოცდაათი წლის უდიდეს სკანდალად მონათლულ საქმეს. ბრალდებული ოთხია: „ლივერპულისა" და „საუთჰემპტონის" ყოფილი ზიმბაბველი მეკარე ბრიუს გრობელაარი, „უიმბლდონის" ყოფილი ჰოლანდიელი მეკარე ჰანს სეგერსი, „ასტონ ვილას" ყოფილი თავდამსხმელი ჯონ ფაშანუ და ლონდონში მცხოვრები მალაიზიელი ბიზნესმენი ჰენგ სუან ლიმი. ბრალდება ცდილობს დაამტკიცოს, რომ ლიმი ინგლისში მალაიზიასა და ინდონეზიაში მოქმედი უკანონო სანიძლაო სინდიკატის წარმომადგენელი იყო, რომელსაც შორეული აღმოსავლეთიდან უგზავნიდნენ ფულს, რათა მას პრემიერლიგის გუნდებში მოთამაშე მეკარეები მოექრთამა. მიზანი თამაშების სინდიკატისთვის სასურველი შედეგებით დამთავრება გახლდათ. მეოთხე ბრალდებული, ჯონ ფაშანუ, რომელიც სასამართლოზე კანონიერ უფლებას იყენებს და თვითონ ხმას არ იღებს, მხოლოდ ადვოკატის პირით ლაპარაკობს, ლიმთან ერთად მოსაქრთამავი მეკარეების შერჩევასა და ფულის გადაცემაშია ეჭვმიტანილი. ოთხივე ბრალდებული თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს.

სასამართლოს მორიგ სხდომაზე ისევ ბრიუს გრობელაარის საქმეს დაუბრუნდნენ. ნაფიც მსაჯულებს თავდაპირველად ჩაურთეს ფარული კამერით გადაღებული კასეტა, რომელზეც ჩანს, როგორ იღებს ზიმბაბველი ყოფილ ბიზნეს-პარტნიორს, თანამემამულე კრის ვინსენტისგან 2 ათას გირვანქას და თამაშების ჩაწყობაზე საუბრობს. გრობელაარმა ჩანაწერს ასეთი კომენტარი გაუკეთა:

— იმის გაგებას ვცდილობდი, თუ ვისთან თანამშრომლობდა ვინსენტი. ამ შარადის ამოსახსნელად გავაბი საუბარი. ვინაიდან საქმემ მოითხოვა, დიალოგში ჩემივე გამოგონილი ისტორიები ჩავრთე. მიზანი ვინსენტისთვის თანამზრახველთა სახელების გამოტყუება და შემდეგ ყველაფრის ხელისუფლებისთვის მოხსენება მქონდა დასახული.

ჰენგ სუან ლიმთან კავშირი კი ყოფილმა მეკარემ ისევე ახსნა, როგორც ამას ათიოდე დღის წინ თვით ლიმი ხსნიდა. მან ნაფიც მსაჯულებს არ დაუმალა, რომ მართლაც გამოართვა მალაიზიელს 250 გირვანქა. ოღონდ მხოლოდდამხოლოდ, რამდენიმე მატჩის შედეგის წინასწარმეტყველების საფასურად. გრობელაარმა აღნიშნა, რომ ისიც კი არ უწყოდა, ლიმს მისი პროგნოზები საკუთარი ნიძლავებისთვის სჭირდებოდა, თუ სხვას ასარგებლებდა. რას უკეთებდა ჩემს ვარაუდებს, მისი საქმე იყო — განაცხადა გოლკიპერმა და დაამატა — ადრე შედეგთა გამოცნობას ერთი ნორვეგიული გაზეთისა და სამხრეთ აფრიკული რადიოსთვის ვცდილობდიო.

მთავარმა ბრალმდებელმა დევიდ კალვერტ სმიტმა საზოგადოების ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ გრობელაარი ლიმისგან ფულს სულ სხვადასხვა სასტუმროებსა და აეროპორტებში იღებდა. ამან ბრალდებულს ასე მიმართა:

— ჩემი აზრით თქვენ ეშმაკურ ხერხს მიმართავდით. თითქოს უწყინარ საქმეში იყავით ჩაბმული, შემდეგ კი აღმოჩნდებოდა, რომ გატყუებდნენ.

— მე არასდროს მოვუტყუებივარ — უპასუხა გრობელაარმა — არც იმაში გეთანხმებით, რომ ჩვენ რაიმე ეშმაკობა გვქონდა ჩაფიქრებული.

ყოფილმა მეკარემ ისიც თქვა, რომ ლივერპულელი თანაგუნდელებისთვის არასდროს მოუყოლია თავისი პროგნოზების შესახებ.

— არასდროს მიფიქრია, რომ ჩემი საქმიანობის შესახებ ვინმესთვის უნდა მეთქვა. ვთვლიდი, რომ ეს მათი საქმე არ იყო.

— მაგრამ სეზონის ბოლოსთვის თქვენ მისი (ლიმის) გავლენის ქვეშ აღმოჩნდით — უთხრა ბრალმდებელმა.

— არა მგონია ვინმეს გავლენის ქვეშ ვყოფილიყავი.

— ნუთუ ვერ გრძნობდით, რომ მას თქვენთვის ზიანის მოყენება შეეძლო?

— რა ზიანი უნდა მაყენოს ერთმა მეორეს, თუ ისინი მხოლოდდამხოლოდ იმით არიან გართულნი, რომ ცდილობენ შაბათს ჩასატარებელი მატჩების ანგარიშები გამოიცნონ?

ამის შემდეგ ბრალდებამ 1994 წლის იანვარში ჩატარებული „ლივერპულ" — „მანჩესტერ იუნაიტედის" მატჩის (3:3) ვიდეოჩანაწერი ჩართო. დარბაზმა შეხვედრა თავიდან ბოლომდე ნახა, შემდეგ კი იხილა სხვა ვიდეოჩანაწერი, ფარულად გადაღებული, რომელშიც გრობელაარი ვინსენტს მწუხარებით უყვება თუ როგორ იხსნა იმ მატჩში ორჯერ, შემთხვევით, „ლივერპულის" კარი, რის გამოც 125 ათასი გირვანქა დაკარგა.

კომენტარი რომ თხოვეს, ზიმბაბველმა ნაფიც მსაჯულებს განუცხადა, რომ ის დღემდე ამაყობს რაიან გიგზისა და როი კინის დარტყმების მოგერიებით.

— თქვენ ჩანაწერში ამბობთ, რომ თითქოს არასწორად გადახტით, მაგრამ მაინც მოიგერიეთ. როდის გადახტით არასწორად? — ჰკითხა საკუთარმა ვექილმა როდნი კლვენმა.

— არა, ასეთი რამ არ ყოფილა. მე იმ დარტყმების მოგერიება მსურდა და ამიტომაც სწორად გადავხტი.

მატჩის ვიდეოჩანაწერის ცქერისას დინამიკში გაისმა ტელეკომენტატორის აღფრთოვანებული შეძახილები — „ბრიუს გრობელაარის ჯადოსნური ნახტომი" და „ბრიუსის დიდებული ნახტომი". გარდა ამისა, ჩანაწერში ჩანდა, როგორ მივიდა მატჩის შემდეგ დაღონებულ მეკარესთან თანაგუნდელი ნილ რადოკი და კარგი თამაში მიულოცა.

დევიდ კალვერტ სმიტმა იკითხა: — ეს არის გამომეტყველება კაცისა, რომელმაც დიდძალი ფული დაკარგა?

გრობელაარმა უპასუხა: — ეს არის გამომეტყველება კაცისა, რომელმაც უდიდეს მეტოქესთან შეხვედრაში სამი გოლი გაუშვა.

სასამართლოს პროცესის მორიგ სხდომაზე 1993 წლის ნოემბრის ამბები გაიხსენეს. საქმე ეხებოდა გრობელაარის მიერ კრის ვინსენტისთვის გადახდილ 25 ათას გირვანქას, რომელიც ბრალდების აზრით, ქრთამად აღებული 40 ათასის ნაწილია, ბრალდებულის თქმით კი სამწერთნელო და სხვა საქმიანობიდან მიღებული თანხის ნაწილი.

დევიდ კალვერტ სმიტი ამტკიცებდა, რომ გრობელაარმა „ნიუკასლიდან" შეხვედრაში განგებ გაუშვა სამი გოლი, რის [illegible] ლონდონში მდებარე ერთ ბინაში ჯონ ფაშანუსაგან ზემოხსენებული 40 ათასი აიღო.

[illegible] ერ ცდებითო, ხოლო ვინსენტისთვის ფულის გადაცემა ამგვარად ახსნა: — სამხრეთ აფრიკაში დედაჩემისა და მისი ქმრის საცხოვრებელი სახლის აშენება მსურდა. საჭირო იყო მიწის ნაკვეთის შეძენა და მშენებლობის დაწყება. ხელოსნები გადარიცხვაზე ყაბულს არ იყვნენ, ნაღდ ფულს მთხოვდნენ, ამიტომაც გადავეცი ჩემს იმდროინდელ ბიზნეს-პარტნიორს 25 ათასი. მას საქმე უნდა მოეგვარებინა.

შემდეგ ისევ ვიდეომაგნიტოფონისკენ მიაპყრეს დამსწრე საზოგადოების ყურადღება. აჩვენეს ასეთი ეპიზოდი: „საუთჰემპტონისა" და „ქოვენთრის" შეხვედრაში (გრობელაარი უკვე „საუთჰემპტონის" კარს იცავდა), მეტოქის დარტყმულს გოლკიპერი უხეიროდ ხვდება, იგი ზურგზე ეცემა, გზად კი ბურთს თითქოს წაჰკრავს, რის შემდეგაც იგი მის კარშივარდება. ეს მატჩი „საუთჰემპტონმა" 3:1 მოიგო.

— მე რომ ამ შეხვედრის წაგება მდომოდა, გოლს მეორე წუთზე არაფრისდიდებით გავუშვებდი, საამისოდ წინ მთელი 88 წუთი მექნებოდა — უპასუხა ბრალდებას მეკარემ — გარდა ამისა, ჩემს თავდამსხმელს, მეტ ლე ტისიეს ერთხელაც არ მივაწოდებდი ბურთს, რადგან მისი შეტევები საპირისპირო კარში გოლით მთავრდება ხოლმე.

სამშაბათს სხდომაზე გამოძახებულმა მოწმემ, შოტლანდიის ნაკრების ყოფილმა გოლკიპერმა ბობ უილსონმა გრობელაარს მხარი დაუჭირა, მას დიდი მეკარე უწოდა. უილსონი ამჟამად ტელეწამყვანად მუშაობს და იმავდროულად ინგლისის ეროვნული გუნდისა და „არსენალის" კარის მცველს სიმენს წვრთნის პერსონალურად. ფეხბურთელობისას, მოწმე უილსონი თავადაც „არსენალში" გამოდიოდა და 1971 წელს ინგლისის ჩემპიონობაც მოიპოვა და თასიც.

გრობელაარის ვექილის კითხვის პასუხად მოწმემ აღნიშნა, რომ თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „საჭიროა გიჟი იყო", დღევანდელ ბრალდებულს ერთი თავი მიუძღვნა. მან თქვა: „ვგრძნობ, რომ ბრიუსზე საგანგებოდ დაწერა აუცილებელი იყო. იმხანად, მე რომ წიგნს ვწერდი, ის კვლავ „ლივერპულში" თამაშობდა და ჩემზეც და სხვა მეკარეებზეც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა".

უილსონს, როგორც სპეციალისტს, „ლივერპულის" მიერ „ნიუკასლთან" 0:3 წაგებული შეხვედრის მომენტების ანალიზი სთხოვეს. პასუხი ამგვარი იყო: — ვერცერთ გაშვებულ გოლს გრობელაარი ვერ იხსნიდა. სხვა კი, იმ შეხვედრაში მან მართლაც საუცხოო დარტყმა მოიგერია.

მოწმეს ზემოხსენებულ „ლივერპულ" — „იუნაიტედის" შეხვედრაზეც ჰკითხეს და კვლავ ზიმბაბველის ქება ისმინეს. იგივე მოხდა „საუთჰემპტონის" შეხვედრების განხილვისას. ბოლოს ვექილმა კლვენმა ჰკითხა:

— რაიმე საეჭვო შენიშნეთ?

— მე რაც მაჩვენეთ, იმ შეხვედრებში საეჭვო არაფერი ყოფილა.

— იოტისოდენაც კი?

— დიახ.

ბოლო მოწმე გახლდათ „მანჩესტერ სიტის" ყოფილი მწვრთნელი, „სარბიელის" მკითხველთათვის კარგად ცნობილი ალან ბოლი. ბოლს გრობელაარი 1980 წელს გაუცვნია, 1994-ში კი, „საუთჰემპტონის" მწვრთნელად მუშაობისას, თავის გუნდში მოუწვევია. მას ჰკითხეს, რას იზამდით, რომ გაგეგოთ თქვენი მეკარე გოლებს ძალად რომ უშვებდაო. ბოლმა უპასუხა:

— სასწრაფოდ დავატოვებინებდი გუნდს. ასეთ რაღაცას მე ვერ შევეგუებოდი, ფეხბურთი ხომ ხალხის მთელი ცხოვრებაა.

— ხომ არ შეგიმჩნევიათ რაიმე ამგვარი?

— სწორედ იმიტომ ვარ აქ, რომ განვაცხადო: ამგვარი რამ არ შემიმჩნევია.

სასამართლო გრძელდება.

**გიგა კობახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთის რუკასთან







# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XIX ტური

21-23 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| დიუსელდორფი — დორტმუნდი | 4,7 | 3,2 | 1,5 |
| ფრაიბურგი — ჰამბურგი | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| ჰანზა — ვერდერი | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| შტუტგარტი — კარლსრუე | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| მიონხენგლადბახი — შალკე | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| ზანქტ პაული — არმინია | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ბოხუმი — ბაიერნი | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| ლევერკუზენი — დუისბურგი | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| მიუნხენ 1860 — კიოლნი | 2,1 | 2,8 | 2,8 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 თებერვალი | | | |
| უნტერჰახინგი — კაიზერსლაუტერნი | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| ურდინგენი — ლაიფციგი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| 22 თებერვალი | | | |
| მანჰაიმი — ცვიკაუ | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ვოლფსბურგი — ფორტუნა | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| 23 თებერვალი | | | |
| კიკერსი — როტ ვაისი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| აინტრახტი — ლიუბეკი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| მეპენი — ოლდენბურგი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| კარლ ცაისი — გიუტერსლოო | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| 24 თებერვალი | | | |
| მაინცი — ჰერტა | 1,8 | 2,9 | 3,4 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXVI ტური

22-24 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — უიმბლდონი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| ჩელსი — მანჩესტერ იუნაიტედი | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| ქოვენთრი — ევერტონი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ლესტერი — დერბი ქაუნთი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ლივერპული — ბლექბერნი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| მიდლსბრო — ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| ნოტინგემი — ასტონ ვილა | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| საუთჰემპტონი — შეფილდ უენსდეი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| სანდერლენდი — ლიდსი | 2,0 | 2,7 | 3,1 |
| ვესტ ჰემი — ტოტენჰემი | 2,5 | 2,4 | 2,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXIV ტური

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — ვულვერჰემპტონი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ბირმინგემი — პორტ ვეილი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ჩარლტონი — ნორვიჩი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| კრისტალ პალასი — ტრანმერი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ჰადერსფილდი — ბოლტონი | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| იფსვიჩი — ოქსფორდი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| მანჩესტერ სიტი — სვინდონი | 1,6 | 3,2 | 4,0 |
| ოლდემი — ბრედფორდი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| რედინგი — საუთენდი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| შეფილდ იუნაიტედი — გრიმსბი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| სტოკ სიტი — ქუინზ პარკი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ვესტ ბრომვიჩი — პორტსმუთი | 2,2 | 2,7 | 2,7 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVII ტური

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — ნანსი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| რენი — ნანტი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ნიცა — კაენი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ოსერი — მონპელიე | 1,35 | 3,2 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ლილი — სტრასბური | 2,5 | 2,4 | 2,5 |
| მეცი — მონაკო | 2,9 | 2,7 | 2,1 |
| ბორდო — მარსელი | 1,6 | 2,8 | 5,0 |
| ლე ავრი — კანი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| პარი სენ ჟერმენი — გინგამი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ლიონი — ლანსი | 1,5 | 3,1 | 5,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. XXVI ტური

23 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სევილია — ლოგრონიესი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ვალენსია — კომპოსტელა | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| სპორტინგი — ტენერიფე | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ბარსელონა — სარაგოსა | 1,15 | 4,4 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ვალიადოლიდი — სოსიედადი | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| ბილბაო — რასინგი | 1,6 | 2,8 | 5,0 |
| ესტრემადურა — ესპანიოლი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| რეალი — ოვიედო | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| სელტა — რაიო ვალეკანო | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| დეპორტივო — ბეტისი | 2,1 | 2,7 | 2,9 |
| ერკულესი — ატლეტიკო | 3,8 | 3,0 | 1,7 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXI ტური

23 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — უდინეზე | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ვიჩენცა — პიაჩენცა | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| რომა — რეჯანა | 1,1 | 5,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| კალიარი — ვერონა | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ფიორენტინა — იუვენტუსი | 2,6 | 2,6 | 2,3 |
| ინტერი — ატალანტა | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ნაპოლი — სამპდორია | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| პარმა — ლაციო | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| პერუჯა — მილანი | 3,8 | 3,0 | 1,7 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 თებერვალი | | | |
| სალერნიტანა — ლუკეზე | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| 23 თებერვალი | | | |
| ბრეშია — პესკარა | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| კიევო — კოზენცა | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| დი სანგრო — პალერმო | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ჯენოა — ჩეზენა | 1,35 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ლეჩე — ვენეცია | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| პადოვა — ფოჯა | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| რავენა — კრემონეზე | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ტორინო — ემპოლი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| რეჯინა — ბარი | 2,9 | 2,9 | 2,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXVIII ტური

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანფერმლაინი — აბერდინი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ჰართსი — რეით როვერსი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| კილმარნოკი — დანდი იუნაიტედი | 3,1 | 2,7 | 2,0 |
| მოზერველი — სელტიკი | 5,6 | 3,3 | 1,4 |
| 1:0 | 2,1 | 3,4 | 1,9 |
| რეინჯერსი — ჰიბერნიანი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXI ტური

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბენფიკა — ლეირია | 1,15 | 4,4 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ბრაგა — სეტუბალი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| გიმარაეში — შავეში | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| პორტუ — სალგეირუში | 1,15 | 4,4 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ლეცა — ამადორა | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| მარიტიმუ — სპორტინგი | 5,3 | 3,4 | 1,4 |
| 1:0 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| რიუ ავე — ბოავიშტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| ბელენენსეში — ჟილ ვისენტე | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ფარენსე — ესპინიუ | 2,0 | 2,7 | 3,1 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 თებერვალი | | | |
| ბრედა — ჰერენვენი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| როდა — ტილბურგი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ეინდჰოვენი — ალკმაარი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| დე გრააფსხაპი — ტვენტე | 2,6 | 2,6 | 2,3 |
| 23 თებერვალი | | | |
| ვალვაიკი — ნაიმეგენი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| უტრეხტი — სპარტა | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ვოლენდამი — სიტარდი | 1,6 | 3,2 | 4,0 |
| ვიტესი — გრონინგენი | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| აიაქსი — ფეიენოორდი | 1,8 | 3,0 | 3,3 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXIV ტური

23 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| არიუგე — ლოკერენი | 1,15 | 5,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ლიერსი — ლომელი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| გენტი — ანდერლეხტი | 3,3 | 3,0 | 1,8 |
| ანტვერპენი — სერკლ ბრიუგე | 1,15 | 5,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| მოლენბეკი — ეკერენი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| სტანდარდი — შარლერუა | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| გენკი — მეხელენი | 1,6 | 3,2 | 4,0 |
| სენტ ტრიუდენი — აალსტი | 1,5 | 3,2 | 4,7 |
| ჰარელბეკი — მუსკრონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

**ტურში გატანილი გოლების რაოდენობა**

იტალია. 22 და ნაკლები — 1,9; 24 და მეტი — 1,9
ესპანეთი. 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9
ინგლისი. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9
გერმანია. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9
საფრანგეთი. 22 და ნაკლები — 1,9; 24 და მეტი — 1,9

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## CROCO-2

### ტირაჟი №19

1. ბოლონია — უდინეზე
2. კალიარი — ვერონა
3. ფიორენტინა — იუვენტუსი
4. ინტერი — ატალანტა
5. ნაპოლი — სამპდორია
6. პარმა — ლაციო
7. პერუჯა — მილანი
8. დეპორტივო — ბეტისი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი.

7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის. თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

## ჭიდაობა

# სამეზობლოს შემწეობით იოლას გავდივართ

საქართველოს სპორტულ ფედერაციებს მატერიალურად რომ არ ულხინთ, ეს ცნობილი ამბავია. ჩვენმა სპორტსმენებმა ფორმა რომ შეინარჩუნონ და კარსმომდგარ ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე თავი არ შეირცხვინონ, ინტენსიურ წვრთნასთან ერთად საერთაშორისო ტურნირებზე სისტემატიური გამოსვლაც სჭირდებათ. ამიტომაც გაჭირვების კვალობაზე ახერხებენ ამგვარ შეჯიბრებებზე ასპარეზობას, ჰოდა, ქართველ სპორტსმენთა მასპინძლები ძირითადად ჩვენი მოსაზღვრე ქვეყნები არიან, ხშირად ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიც. მაგრამ ამ ბოლო დროს, ქართველმა სპორტსმენებმა მეზობელ ირანელებს, რომ იტყვიან, კარი აუტალახეს. ჯერ იყო და, მოფარიკავეები ესტუმრნენ ირანს, მოჭიდავეებმაც მალე მიბაძეს მათ, ხოლო მოკრივეები ჯერაც არ დაბრუნებულან იქიდან. ხშირი ირანული ვიზიტები, რა თქმა უნდა, სიახლოვითა და მცირე სატრანსპორტო ხარჯებით არის გამოწვეული, იქაური სპორტული ფედერაციების თავკაცებიც ხვდებიან ჩვენს გასაჭირს და ტურნირს არ გამართავენ, თუ ჩვენებურებიც არ იწვიეს.

### ირანი

იანვარ-თებერვალში ირანში გამართული შეჯიბრებებიდან ყველაზე პრესტიჟული ლეგენდარული ირანელი ფალავნის გოლამ რეზა ტახტის სახელობის საერთაშორისო ტურნირი იყო. ეს შეჯიბრება ქალაქ საარში მეთექვსმეტედ ჩატარდა, გრან-პრის კატეგორიისაა და, ტრადიციულად, ორი ტურნირი იმართება — მასში თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავენი ასპარეზობენ. საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ საარში ძირითადად ახალგაზრდა, შედარებით გამოუცდელი ფალავნები იახლა, მაგრამ ჩვენებმა გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს ირანისა და ყირგიზეთის ნაკრებთა შემდეგ და 5 მედალიც ჩამოიტანეს. სამწუხაროდ, აქედან არცერთი არ არის ოქროსი. ვერცხლის მედლები მოიპოვეს დავით ხურციამ (85 კგ) და მამუკა ფრეწუაშვილმა (125), ორივე ქართველ ფალავანს ირანელებმა აჯობეს — ხურციას მაჯიდიმ, ხოლო ფრეწუაშვილს — მენრაბიანმა. მესამე ადგილზე სამი ქართველი სპორტსმენი გავიდა — ჯემალ როსტომაშვილი (76), ბონდო ჭილაძე (63) და შოთა ბილანიშვილი (97). მხოლოდ სამნი დარჩნენ უმედლოდ.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჩვენებურებმა მხოლოდ 2 მედალი ჩამოიტანეს ირანიდან: გოჩა ბოცვაძემ (63) მეორე ადგილი დაიკავა, ამირან სვანიძემ (69) — მესამე. მეტად დასანანი მარცხი იწვნია ირანელ ფალავანთან ზაზა სილაგაძემ (97), თორემ მანამდე ყველა ორთაბრძოლა დამაჯერებლად მოიგო და უმედლოდ მართლაც არ უნდა დარჩენილიყო. მხოლოდ 2 მედლის მოპოვების მიუხედავად ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა გუნდური II ადგილი დაიკავეს. ცოტა უცნაური კია, 5 მედლის მომპოვებელი გუნდი მესამე იყოს, ორმედლიანი კი მეორე. მაგრამ როგორც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში განგვიმარტეს, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა, ნაკრების უკლებლივ ყველა წევრმა, გუნდს ჩასათვლელი ქულა მოუტანა, თანაც, თავისუფლებისგან განსხვავებით მათ ტურნირზე გუნდები უფრო მცირერიცხოვანი შემადგენლობით ასპარეზობდნენ. აქ პირველები კვლავ ირანელები იყვნენ, მეორენი შუააზიელები, ოღონდ, ყირგიზთა ნაცვლად, უზბეკები.

### თურქეთი

ირანისა არ იყოს, არც თურქეთს მოისაკლისებენ ჩვენი მოჭიდავენი. ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები ორი კვირის წინ დაბრუნდნენ ანკარიდან, ამჯერად კი თავისუფალი სტილით მოჭიდავენი ესტუმრნენ იქაურობას. ზაფხულში ანკარა ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, ამიტომაც სწორედ ქართველი ჭაბუკები წავიდნენ თურქეთში, თუმცა ჩვენს გარდა ყველა ქვეყანამ უფროსთა გუნდი ჩაიყვანა. საფრანგეთი უძლიერესი შემადგენლობით ეწვია ანკარას, ხოლო ამერიკელებმა ორი მსოფლიოს ჩემპიონიც იახლეს — ჯექსონი და ატლანტაში ელდარ კურტანიძისგან ძლეული დუგლასი. ზოგმა 2-2 ნაკრებიც გამოიყვანა, ზოგი კი წონაში 3-4 კაცს აჭიდავებდა, ამიტომაც, თურქეთში წასვლამდეც იცოდნენ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელებმა, რომ საქართველოში დიდად სახეიროს ვერაფერს გამოიყოლიებდნენ. ასეც მოხდა — ჭაბუკთა ნაკრები უმედლოდ დარჩა, თუმცა, როგორც ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივანს ომზარ შოშიტაშვილს მიაჩნია, თურქული წარუმატებლობა არ არის ტრაგედია და იქ ჩასვლით კარგი საქმე გაკეთდა. ჯერ ერთი, ჭაბუკებმა გამოცდილება შეიძინეს უფროსებთან ჭიდილში, მეორეც, საევროპოჩემპიონატოდ ანკარა და იქაური ატმოსფეროც არ ეუცხოებათ და მედლებიც ზაფხულისთვის იქნებაო, დაგვაიმედა. გუნდმა მეშვიდე ადგილი დაიკავა. აქაც მასპინძლებმა იყოჩაღეს და პირველებიც თურქები იყვნენ, მეორენი — ამერიკელები, ხოლო მესამე ადგილზე უკრაინელები გავიდნენ. ქართველ მოჭიდავეთაგან ზაზა ქავთარიასა (54 კგ) და დათო ლეჟავას (69) გამოყოფა შეიძლება, ბიჭებს ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდათ, უმედლებოდ არ დაბრუნდებოდნენ.

### უკრაინა

დღეს კიევში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი იწყება და ქართველი ფალავნები აქაც იასპარეზებენ. ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის დავით გობეჯიშვილისა და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის კობა ლოჩოშვილის ხელმძღვანელობით კიევს 5 ჩვენი მოჭიდავე ჩავიდა: ახლახან კრასნოიარსკის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულები — ელდარ კურტანიძე (97 კგ) და დავით პოღოსიანი (63), ამავე წონაში იასპარეზებს გოჩა ხარებავაც. მათ გარდა ემზარ ბედინეიშვილი (69) და თამაზ ყულოშვილიც (54) გამოვლენ.

**ლევან ჯავახიშვილი**

## ფარიკაობა

# ირანში ხმლიანი მებრძოლები არ შეუშვეს

12-14 თებერვალს ირანში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც A კატეგორიაზე არის წარდგენილი. მიიღებს თუ არა ის უმაღლეს კატეგორიას, ამას ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაცია გადაწყვეტს ტურნირის კომისრის პატაკის შემდეგ. საერთაშორისო ფედერაციამ კომისრად საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი მორის სახვაძე მიავლინა. ბატონი მორისი ჩვენი ქვეყნის ნაკრებსაც თავკაცობდა თეირანში. დელეგაცია ოცდაათსაათიან მგზავრობის შემდეგ გუშინ თბილისში დაბრუნდა.

„ტურნირი საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული „გვითხრა მორის სახვაძემ — თითოეულ სახეობაში ორმოცდაათი სპორტსმენი ასპარეზობდა. მონაწილეთა რაოდენობა შეიძლებოდა გაცილებით მეტიც ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ ირანის საელჩომ ებრაელ მოფარიკავეებს ვიზები არ მისცა. ამ ორ ქვეყანას შორის დაძაბული ვითარებაა, ანტიებრაული მიტინგებიც კი გაიმართა თეირანში ტურნირამდე რამდენიმე დღით ადრე. ებრაელებმა ირანის ვიზები მოითხოვეს, ამის გამო დიდი ვაიუშველებელი ატყდა, ამან ქვეყნის პრეზიდენტის რაფსანჯანის ყურამდეც მიაღწია. საბოლოოდ, ისრაელის მოფარიკავეთა გუნდი ირანში არ შეუშვეს. ამის გამო ბევრმა ქვეყანამ ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენს დუხჭირ მდგომარეობას, ბიჭებს ურიგოდ არ უასპარეზიათ — ხმალში არჩილ ლორთქიფანიძე, დაშნაში კი — ჯემალ გამიაშვილი მესამე ადგილზე გავიდნენ. რაპირაში ირაკლი ლაღანიძემ მეცხრე, თამაზ ჯინჭარაულმა მეათე ადგილები დაიკავეს. ამავე სახეობაში გამოდიოდნენ კონსტანტინე კაკილაშვილი და ხუტა ჩაგანავა, რომლებიც პირველივე წრიდან გამოეთიშნენ ასპარეზობას. დაშნით ფარიკაობაში ალექსანდრე ზახარაშვილი და შალვა კოკოჩაშვილი მერვედფინალში დამარცხდნენ. ალექსანდრე ჩიტიშვილი ხმალში მეთექვსმეტედფინალის მიღმა დარჩა.

A კატეგორიის ტურნირებს მაღალი მოთხოვნები აქვს, ყველაფერი წესრიგში უნდა გქონდეს. ჩვენ, მოგეხსენებათ, ინვენტარის სიმწირეს განვიცდით და სახმალაოდ რომ გასულიყავი, ჩასაცმელ-დასახური სხვა ქვეყნების სპორტსმენებისგან უნდა შეგვესო.

**ერეკლე კიკილაშვილი**

## ჩოგბურთი

# საჩოგბურთო ზამთარი ბრძოლდება...

ლელა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე მიმდინარეობს 16 წლამდე ჩოგბურთელთა პირველობა. 16 მონაწილე ჯერ ოლიმპიური სისტემით ითამაშებს, მერე კი საუკეთესო ოთხეული წრიული სისტემით გაარკვევს ამ ასაკში საქართველოს ზამთრის ჩემპიონის ვინაობას. გუშინ გაიმართა მერვედფინალები: უშანგიშვილი — ტატიშვილი 6:0, 6:0, კოპილაშვილი — ხრიკაძე 6:3, 6:4, ოთარაშვილი — რუსო 6:4, 6:3, რევაზიშვილი — მაღრაძე 4:6, 6:1, 6:4, აბულაძე — წიკლაური 6:3, 6:0, შევარდნაძე — სალარიძე 7:6, 6:1, შეყილაძე — კუხალაშვილი 3:6, 6:3, 7:5, ჩიხლაძე — გურგენიძე 6:1, 6:1.

16 წლამდე გოგონათა პირველობა არ ჩატარებულა, რადგან სულ ორი მონაწილე გამოცხადდა.

სამედიცინო ინსტიტუტის კორტებზე კი მიმდინარეობს 14 წლამდე გოგონების ტურნირი. აქ გუშინ უკვე გაირკვა ოთხი უძლიერესი, რომლებიც წრიული სისტემით გაითამაშებენ პირველობას, ესენი არიან ნინო ესებუა (დაამარცხა ქურდაძე 6:0, 6:1), ნინო მეტრეველი (ქოქაშვილი 6:3, 6:1), ანა ჩაჩუა (ანანიაშვილი 6:0, 6:1), თამუნა ზედგენიძე (რცხილაძე 6:2, 6:7, 6:3).

> საქართველოს ძიუდოს ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს თემურ ხუბულურს დედის გარდაცვალების გამო.

## კალათბურთი

### NBA: რეგულარული ჩემპიონატი

17 თებერვალი. ვაშინგტონი — მილუოკი 95:93, კლივლენდი — ნიუ ჯერსი 108:106, ინდიანა — ტორონტო 105:103, შარლოტი — ორლანდო 124:110, ჰიუსტონი — ატლანტა 127:98, სიეტლი — ბოსტონი 113:108, დალასი — ვანკუვერი 100:95

18 თებერვალი. ნიუ იორკი — ფინიქსი 95:94, მაიამი — ფილადელფია 111:83, იუტა — სან ანტონიო 113:105, ჩიკაგო — დენვერი 134:123, კლიპერსი — დალასი 87:69, საკრამენტო — მინესოტა 95:84

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| მაიამი | 40 | 12 | 76,9 |
| ნიუ იორკი | 38 | 14 | 73,1 |
| ორლანდო | 24 | 25 | 49,0 |
| ვაშინგტონი | 24 | 27 | 47,1 |
| ნიუ ჯერსი | 15 | 36 | 29,4 |
| ფილადელფია | 12 | 39 | 23,5 |
| ბოსტონი | 11 | 40 | 21,6 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ჩიკაგო | 46 | 6 | 88,5 |
| დეტროიტი | 37 | 13 | 74,0 |
| ატლანტა | 33 | 17 | 66,0 |
| შარლოტი | 31 | 21 | 59,6 |
| კლივლენდი | 28 | 22 | 56,0 |
| ინდიანა | 24 | 26 | 48,6 |
| მილუოკი | 24 | 27 | 47,1 |
| ტორონტო | 17 | 34 | 33,3 |
| **შუა-დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 37 | 14 | 72,5 |
| ჰიუსტონი | 34 | 18 | 65,4 |
| მინესოტა | 25 | 27 | 48,1 |
| დალასი | 17 | 32 | 34,7 |
| დენვერი | 17 | 36 | 32,1 |
| სან ანტონიო | 12 | 38 | 24,0 |
| ვანკუვერი | 11 | 44 | 20,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერსი | 37 | 14 | 72,5 |
| სიეტლი | 36 | 15 | 70,6 |
| პორტლენდი | 28 | 24 | 53,8 |
| საკრამენტო | 24 | 29 | 45,3 |
| კლიპერსი | 21 | 27 | 43,8 |
| გოლდენ სტეიტი | 19 | 30 | 38,8 |
| ფინიქსი | 19 | 34 | 35,8 |

# დალასი გადაირია

ორშაბათს ღამით „დალას მავერიქსმა“ და „ნიუ ჯერსი ნეტსმა“ ერთმანეთში მოთამაშეები გაცვალეს. დალასიდან წავიდნენ: ჯიმ ჯექსონი, კრის გეტლინგი, სემ კასელი, ჯორჯ მაკლაუდი და ერიკ მონტროსი. მათ სანაცვლოდ „ნიუ ჯერსიდან“ მოვიდნენ: შონ ბრედლი, ჰალიდ რივზი, რობერტ პეკი და ედ ობენონი. 27 დეკემბრიდან „დალასმა“ უკვე 10 მოთამაშე გაცვალა. ამ ხუთეულის გარდა მანამდე სხვა გუნდებში წავიდნენ: ჯეისონ კიდი, ტონი დუმასი, ლორენ მეიერი (ფინიქსში) და ჯამალ მაშბურნი (მაიამიში).

## ძიუდო

# ახალგაზრდები ბაქოში

გუშინ ბაქოს გაემგზავრა საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრები. მთავარმა მწვრთნელმა ჯემალ ნათელაშვილმა და მწვრთნელმა ბიძინა მაზიაშვილმა აზერბაიჯანის დედაქალაქში გასამართ საერთაშორისო ტურნირზე შემდეგი ფალავნები წაიყვანეს: თემურ გივიაშვილი, დავით ჯავახიშვილი (ორივე — 60 კგ), ვასილ მერაბიშვილი (65), დავით ნადარაია, გიორგი ნადირაშვილი (ორივე — 71), გოჩა ბერაძე (78), გელა ჭურჭელაური (86), გია გუგავა, იუზა ბოლქვაძე (ორივე — 95), ვასილ ლექვინაძე, ლაშა ცხვარიაშვილი (ორივე — მძიმე). ბაქოს ტურნირი 21-23 თებერვალს გაიმართება.

## სროლა

# პარლამენტი ბჭობს, მსროლელები ელიან

24 თებერვლიდან 3 მარტამდე ვარშავაში ტარდება ევროპის ჩემპიონატი პნევმატური იარაღით სროლაში. შეჯიბრში საქართველოს ქალთა ნაკრებმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა სამი ნინოს, სალუქვაძის, უჩაძისა და ლალაშვილის შემადგენლობით, მაგრამ იმის გამო, რომ პარლამენტმა ბიუჯეტის განხილვა დამტკიცებას ჯერ საშველი ვერ დააყენა, სპორტის დეპარტამენტს წლეულს გათვალისწინებული სახსრები ჯერაც არ მიუღია, უფულობის მიზეზით კი შესაძლოა ევროპის ჩემპიონატმა ჩვენი ნაკრები მოისაკლისოს. წასვლა-არწასვლის საკითხი დღეს გადაწყდება და თუ მგზავრობის სახსრები გამოინახა, ჩვენი მსროლელები ვარშავაში 22 თებერვალს გაფრინდებიან.

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# საკიკი კვლავ [illegible]

17 თებერვალი. აილენდერსი — მონრეალი 1:4, რეინჯერსი — ნიუ ჯერსი 2:2, ტამპა — დეტროიტი 3:3, სენტ-ლუისი — ჩიკაგო 4:2, ლოს ანჯელესი — დალასი 1:2, ანაჰაიმი — ედმონტონი 5:1

18 თებერვალი. პიტსბურგი — ფლორიდა 4:2, ბუფალო — კალგარი 5:5, ვაშინგტონი — ოტავა 1:6, კოლორადო — ბოსტონი 3:2, ფინიქსი — ლოს ანჯელესი 6:1, ვანკუვერი — ტორონტო 5:1, სან ხოსე — დალასი 3:1

ოთხი უიღბლო მატჩის შემდეგ გადაღლილ პიტსბურგს კვლავ უმძიმესი ბრძოლის გადატანა მოუხდა ფლორიდელ „პანტერებთან“. თამაშის მსვლელობისას ისეთი შთაბეჭდილება შეიქნა, რომ „პინგვინებს“ ამჯერადაც არ გაუმართლებდათ. კონტრშეტევებზე სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ და მეორე პერიოდში დაწინაურდნენ კიდეც. მაგრამ ბოლო პერიოდში კვლავ გაიბრწყინა ლემიემ. თავიდან მარიომ თავის ახალ პარტნიორ ჯონსონთან ერთად მიურეი (8) ახეირა, შემდეგ კი ორი კომბინაცია დაავგვირგვინა და კლუბს სასურველი ორი ქულა შესძინა. ფლორიდამ ზედიზედ მესამედ წააგო.

ჩრდილო-აღმოსავლეთ დივიზიონში პირველ ადგილზე მყოფ ბუფალოს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია კალგარიმ. ზედიზედ ხუთი გამარჯვების შემდეგ კალგარიმ ტოლი არ დაუდო ლიდერს და ბოლოსწინა წუთზე 27 წამიან ინტერვალში გატანილი ორი გოლის წყალობით ქულა მოიპოვა. სტუმართა ახალბედებმა ჰოგლუნდმა და აიჯინლამ თითო-თითო შაიბა შეაგდეს. უნდა ითქვას, რომ კალგარის გოლკიპერი კიდი თავის ნიუჯერზელ კოლეგა ბროდოსთან ერთად (ორივემ მორიგი „მშრალი“ მატჩი ჩაატარა) წინა კვირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

ნიუ იორკში და ვაშინგტონში ფლეიოფში გასასვლელად მებრძოლი კლუბები შეხვდნენ ერთმანეთს. ორი ლიდერის მძლეველმა აილენდერსმა წაიფორხილა. თუმცა ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, შემდეგ მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი იყო. კვლავ იბრუნებს ჩვეულ ფორმას ლიგის ამომავალი ვარსკვლავი კოივუ. ფინელის გამოჩენისთანავე გამოცოცხლდნენ მისი პარტნიორები რეკი (27) და სავაჟი. ამ სამეულმა გადამწყვეტი ორი შაიბა მოაწყო.

ვაშინგტონში კი ერთობ სენსაციური შედეგი დაფიქსირდა, თუმცა, კანადის დედაქალაქის გუნდი ამ ბოლო ხანს ურიგოდ არ გამოიყურება და მისი ლიდერები — იაშინი და აფრედსონი ჩინებულ ფორმაში არიან. ამჯერად რუსმა სამი შედეგიანი პასი გააკეთა და 53 (27+26) ქულით კლუბის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

რაც შეეხება ტამპას და ბოსტონს, ისინი თავის უშუალო კონკურენტებზე სუსტად გამოიყურებიან და სამართლიანადაც იმყოფებიან ბოლო ადგილზე თავიანთ დივიზიონებში. მორიგ მატჩებში მათ დასავლეთის ორი ლიდერი — დეტროიტი და კოლორადო დაუპირისპირდნენ. 17 გამოტოვებული მატჩის შემდეგ კოლორადოს რიგებში კვლავ გამოჩნდა გუნდის ლიდერი და კაპიტანი ჯო საკიკი. სწორედ მისი პასი გამოიყენა ლემიემ. ასე რომ, კოლორადოს ყველა წამყვანი მოთამაშე მწყობრშია. პოპულარულმა სპორტულმა ტელეარხმა ESPN-მა 1996 წლის საუკეთესო ჰოკეისტად საკიკი დაასახელა.

დასავლეთის ერთ-ერთი აუტსაიდერი ლოს ანჯელესი ბოლო ტურებში უხვად არიგებს ქულებს. დალასთან და ფინიქსთან წაგების შემდეგ „მეფეების“ უიღბლო სერიამ 7 მატჩს მიაღწია (2 ფრე და 5 წაგება). თუ პირველ მატჩში აუტსაიდერმა ბოლომდე იბრძოლა და მხოლოდ 58-ე წუთზე შეაგდო მოდანომ გამარჯვების გოლი (ეს დალასელის მე-8 ასეთი წარმატებაა), ფინიქსში პირველივე პერიოდში ოთხი შაიბა გაუშვა.

ლოს ანჯელესისგან განსხვავებით, სან ხოსე და ტორონტო რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევას ცდილობდნენ. კალიფორნიელებმა სეზონში ოთხივე მატჩი მოუგეს მათთვის უხერხულ მეტოქეს — დალასს, რაშიც გოლკიპერმა ჰრუდმა (29 მოგერიება) დაიდო ლომის წილი. ტორონტომაც აჯობა მისთვის არცთუ სასურველ მოწინააღმდეგეს — ვანკუვერს. დებიუტანტი ბერეზინის (18) და ვეტერანი გილმორის (15) ორ-ორი შაიბის შემდეგ სტუმრები 6:2 იგებდნენ, მაგრამ ლამის ხელიდან გაუშვეს მოგება. ვანკუვერმა, ჯერ იყო და, მინიმუმამდე შეამცირა ანგარიში, ბოლო წამებზე კი ოთხი (!) რეალური მომენტი ვერ გამოიყენა.

გრეცკიმ კვლავ უგოლოდ დატოვა მოედანი, თუმცა ორი პასით თანაკლუბელებს ქულის მოპოვებაში დაეხმარა და ახლა 61 გადაცემით ლიგაში უძლიერესი მეპასეა.

**სამველ ლარიბიანი**

## ჭადრაკი

# მსოფლიოსა და ევროპაში გასასვლელად

გუშინ ჭადრაკის სასახლეში დაიწყო 20 წლამდე გოგონებისა და ვაჟების ტურნირები, რომლებიც შესარჩევი ასპარეზობებია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისთვის.

გოგონათა ტურნირზე 37 მონაწილეა. მათ შორის არიან საერთაშორისო ოსტატი მირანდა ხორავა (თბილისი), ფიდეს ოსტატები რუსუდან გოლეთიანი (სოხუმი), დიანა დარჩია (თბილისი), ნათია აფხაიძე და სოფიკო ტყეშელაშვილი (ორივე ქუთაისი).

პირველ ადგილზე გასული მსოფლიოს პირველობაზე იასპარეზებს, მეორეზე გასული კი ევროპისაზე. ტურნირში არ მონაწილეობს ამ ასაკში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი მაია ლომინეიშვილი, რომელიც შესარჩევი ტურნირის გარეშეა დაშვებული როგორც მსოფლიოს, ისე ევროპის ჩემპიონატებზე.

ჭაბუკებში 40 მონაწილეა. მათ შორის არიან ფიდეს ოსტატები გიორგი ბახტაძე და ვალერიან გაფრინდაშვილი. ორმოც მონაწილეს შორის ორი გოგონაცაა — თამარ ბალხამიშვილი და ნანა წიქარიშვილი, რომელთაც გოგონათა ტურნირს ჭაბუკებში გამოსვლა არჩიეს. გამარჯვებული ევროპის პირველობაზე იასპარეზებს, 1-3 ადგილზე გასულნი კი პირდაპირ დაიშვებიან საქართველოს ვაჟთა უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში. 20 წლამდელთა მსოფლიოს პირველობაზე საქართველოდან პერსონალურად არის მიწვეული გიორგი ყაჭეიშვილი.

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1 სამზადისი

# ბოლიდებს სამხრეთში აგრიალებენ

ახალი სეზონის დაწყებამდე სულ უფრო მცირე დრო რჩება. გუნდებმა ევროპის სამხრეთში განლაგებულ ტრასებს მიაშურეს ახალი ბოლიდების შესამოწმებლად. მათი უმეტესობა თავიდან ესპანეთში, ხერესის ავტოდრომზე შეიკრიბა.

მსოფლიოს ჩემპიონი დეიმონ ჰილი პირველად სწორედ იქ მიუჯდა თავისი ახალი „ეროუზის" საჭეს, მაგრამ ტესტი არასრულფასოვანი აღმოჩნდა. სამი დღის განმავლობაში ჰილმა მხოლოდ 15 წრის გავლა შეძლო: პირველ დღეს ავდრის გამო მხოლოდ 7 წრე გაირა. მეორე დღეს გამოიდარა, მაგრამ გადაცემათა კოლოფის უწესრივობის გამო ვარჯიში ჩაიშალა. მესამე დღეს ჰილმა ისევ უამინდობის გამო შეწყვიტა ასპარეზობა. ჩემპიონს საუკეთესო დრო ოდენ 1.26,95 აღმოაჩნდა, რითაც დებიუტანტი „სტუარტის" პილოტებსაც კი ჩამორჩა.



დეიმონ ჰილი, ჩემპიონის სარგო „1" ნომერი რომ აწერია და თითიც დიდი ამბით შეუმართავს, სატესტო რბოლებშიც პირველი იყო, ოღონდაც — ბოლოდან.

ასე ცოდნია ჩემპიონიდან მაჩანჩალა გუნდში გადასვლას!

ყველაზე სრულყოფილად ტესტები „ბენეტონის" პილოტებმა ჩაატარეს. ისინი სხვებზე ადრიანად შეუდგნენ ვარჯიშს. გერჰარდ ბერგერმაც საუკეთესო დრო აჩვენა **1.21, 245**, ჟან ალეზი კი V იყო **1.22,69**. ორივე კმაყოფილი დარჩა ახალი მოდელით, რომელიც უკვე მათი მოთხოვნითაა შექმნილი. თვით მიხაელ შუმახერის შეკვეთით დამზადებული, 7-საფეხურა გადაცემათა კოლოფიც ბერგერისა და ალეზისათვის უფრო მოხერხებული, 6-იანით შეიცვალა. პილოტებმა ტესტები თითქმის დაურეგულირებელი ბოლიდებით ჩაატარეს, ასე რომ, ზუსტი დარეგულირების შემდეგ მათი სისწრაფე და მდგრადობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება. ბერგერმაც ისიც კი ბრძანა, ასეთი იარაღით მეცა და ჟანიც ჩემპიონობის კანდიდატები ვიქნებითო.

„უილიამსის" პილოტმა ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა ხერესში 153 წრე გაიარა და II შედეგი გაახერხა 1.21,93, თუმცა შარშანდელი მოდელით ვარჯიშობდა. ამავე პერიოდში მისი პარტნიორი — ტოპ-პილოტი ჟაკ ვილნევი ბარსელონაში, მონტმელოს ტრასას წრეს წრეზე უვლიდა და 143 წრის შემდეგ კმაყოფილი იყო ახალი მანქანით. თუმცა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ისიც ჰიბრიდით — ძველ, გაუმჯობესებულ შასიზე დამონტაჟებული ძრავით ატარებდა ტესტებს, ახალი „უილიამსი" კი ჯერაც არ იყო მზად. აკი გუნდმა უკვე ორჯერ გადადო მისი პრეზენტაცია. ისე კი, რაიმე რევოლუციურს არც უნდა ველოდეთ — წლევანდელი მანქანა შარშანდელი ჩემპიონი მოდელისაგან დიდად განსხვავებული არ უნდა იყოს.

„მაკლარენის" პილოტებმაც იქვე გაუსინჯეს კბილი თავის ახალ ავტოს, რომელიც



შუმახერს არც წელს ეყოლება საჩემპიონო მანქანა, რადგან „ფერარიმ" საკუთარი ძრავი ვერა და ვერ გამართა

წინამორბედისგან ფერითაც კი განსხვავდება — ნარინჯისფერია და ახალი სპონსორის — მეთამბაქოე West-ის რეკლამა ამშვენებს. სეზონის პირველი ეტაპიდან, 9 მარტს მელბურნში (ავსტრალია) რომ გაიმართება, „მაკლარენს" „მერსედესის" საფირმო ფერი — ვერცხლისა დაედება.

შეიცვალა ბოლიდის აერო-დინამიკაც. პილოტები უფრო ღრმად ჩასხდნენ კოკპიტში და თითქმის წოლელა მართავენ მანქანას. მიკა ჰაკინენიცა და დევიდ კულთჰარდით კმაყოფილი არიან ბოლიდის ქცევით, განსაკუთრებით კი ძრავის ახალ მოდიფიკაციას აქებენ ტესტებიც მშვენივრად ჩაატარეს და III-IV შედეგი გააზერხეს: ჰაკინენმა **1.22,21**, კულთჰარდმა **1.22,26**. მრბოლებმა ოფიციალურ პრეზენტაციაზე განაცხადეს, რომ მათი ბოლიდი იმაზე უკეთესი სამართავია, ვიდრე შარშან იყო და ბევრი არაფრითაც ჩამოუვარდება „უილიამსისა" და „ბენეტონის" ნაქებ მანქანებს.

ცნობილი მრბოლებიდან ყველაზე სუსტად მიხაელ შუმახერმა იასპარეზა. ახალმა ძრავმა პირდაპირ გააწამა „ფერარის" ლიდერი. სამი დღის განმავლობაში ძრავი ოთხჯერ გამოცვალეს: ყოველ ჯერზე სხვადასხვა დეტალი ზიანდებოდა, ერთხელ კი მანქანას ცეცხლიც გაუჩნდა. საბოლოოდ „შუმიმ" 112 წრის გავლის შემდეგ 1.22,85 ძლივს გააზერხა.

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

„ჯორდანის" პილოტები შარშანდელი მოდელით ვარჯიშობდნენ და არც შედეგები ქონდათ კარგი: ჯან-კარლო ფიზიკელას — **1.22,72**, რითაც უფროს შუმახერსაც აჯობა, უმცროსი „შუმის", სახელად რალფის საუკეთესო დრო კი **1.23,68** გამოვიდა. ტესტირების დასრულების შემდეგ ედი ჯორდანმა ლონდონში ახალი სეზონისთვის მომზადებული მოდელის პრეზენტაციაც მოაწყო და დაიქადნა, რომ მისი ახალგაზრდა პილოტები ამ მანქანით ფრიადი შედეგის მისაღწევად იბრძოლებენ.

ამავე ტრასაზე გამოცადეს „ლიჟიეს", აწ კი „პროსტ გრან პრის" ახალი მოდელი JS 45. ოლივიე პანის საუკეთესო დრო 1.22,90 იყო, მისი იაპონელი კოლეგის — შინძი ნაკანოსი კი უფრო მოკრძალებული გამოვიდა 1.23,54.



შოტლანდიელი ჯეკ სტუარტი ისე შეაწუხა თავისივე გუნდის მანქანის ღმუილმა, რომ ყურები თითებით დაიცო

როგორც მოსალოდნელი იყო, დებიუტანტი „სტუარტის" პილოტები შედარებით ნელი გამოდგნენ: რუბენს ბარიჩელო — **1.23,19**, იან მაგნუსენი — **1.26,29**. ეს გუნდი ახლაღა იდგამს ფეხს და პირველ სეზონში დიად მიზნებს არც ისახავს.

ხერესში ტესტირებისას პირველად გაეჯიბრნენ ერთმანეთს „გუდიარისა" (აშშ) და „ბრიჯსტოუნის" (იაპონია) საბურავებიც. მეორემ გეგმები შეიცვალა და წელს ერთის მაგივრად ერთბაშად ხუთ გუნდს — „ეროუზს", „ლიჟიეს", „ზაუბერს", „სტუარტსა" და „ლოლას" ამარაგებს.

იაპონური საბურავები საკმაოდ სწრაფი აღმოჩნდა. წვიმაში პანიმ ერთ წრეზე 6 წამით ჩამოიტოვა „გუდიარის" კლიენტი ალეზი, ვინაც ერთი, რომ ხველ ტრასაზე პანიზე უკეთ გრძნობს თავს, და მეორეც, „ბენეტონი" „ლიჟიეზე" [illegible] სწრაფია.

ერთი სიტყვით, იაპონელები სერიოზულად დაემუქრნენ ამერიკელებს. ღიღმა „შუმიმ" კიდეც გაიფიქრა, ჩემმა გუნდმა ნეტავ რად არ გაუფორმა კონტრაქტი „ბრიჯსტოუნსო".

ხერესში არ გამოჩენილა კენ ტირელის გუნდი, რომელმაც ბოლიდის პრეზენტაცია კი მოაწყო, მაგრამ სერიოზულ ტესტირებას არ შედგომია. ახალი მოდელი შარშანდელისგან საკმაოდ განსხვავდება: აწეული ცხვირი შეინარჩუნა, მაგრამ იგი უფრო წაწვეტებული აქვს და წინა ფრთა მას ერთი სამაგრით ებმის.

შეცვლილია აერო-დინამიკაც, მაგრამ „ფორდის" 8-ცილინდრა ძრავი სიმძლავრით საკმაოდ ჩამორჩება სხვებისას. ამის გამო „ტირელს" სისწრაფე ნაკლები ექნება. ჰოდა, გუნდის ხელმძღვანელობა პილოტებს ორიგინალურ ამოცანას უსახავს: შეცდომა ნაკლებად დაუშვით, სტაბილურობას მიაღწიეთ, რაც შეიძლება მეტი რბოლის ფინიშს მიატანეთო. ამან, ბრძენ კენის აზრით, სასურველი ნაყოფი უნდა გამოიღოს — მოწინავე გუნდები რბოლას რომ გამოეთიშებიან, მისი ბიჭები ქულებს მოაგროვებენ.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ გუნდები კვლავ გამოჩნდნენ ხერესში, ამ კვირაში კი ეშტორილშიც (პორტუგალია) სცადეს ძალა. ხერესში ახლაც „ბენეტონის" პილოტები აღმოჩნდნენ საუკეთესო, ოღონდ ერთმანეთს ადგილები გაუცვალეს: პირველი ალეზი იყო 1.21,01, მეორე — ბერგერი 1.21,07, მესამე შედეგი 1.21,25 კი აღმოაჩნდა ვილნევს, ვინაც ახალი „უილიამს FW19"-ით იასპარეზა.

ეშტორილში ბერგერმა ორშაბათს გააუმჯობესა ჰაკინენის ერთი წლის წინანდელი რეკორდი და წრის გავლას 1.19,48 ამყოფინა, სამშაბათს კი ჯერ ისევ მან იმარჯვა — 1.18,65, მერე კი გერჰარდს ისევ ვილნევმა აჯობა — 65 წრიდან უსწრაფესი 1.18,36-ში გალია.

ალეკო ჭაბუკიანი

როიტერ-ის ფოტოები

---

## მთის თხილამურები

მსოფლიოს F I/S 25-ე პირველობა

# სესტრიერეში ცხრილები ააყირავეს

თქმა არ უნდა, სადაო საკითხია, თუ რომელია უძლიერესი: ის, ვინც მთელი სეზონის მანძილზე სტაბილურად იკავებს კარგ ადგილებს, თუ ის, ვინც უმთავრეს შეჯიბრზე გამოილებს ხელს და ჩემპიონი გახდება.

ამგვარ კითხვას სპორტის ქომაგებს სესტრიერეში (იტალია) დასრულებული ორკვირიანი სათხილამურო პირველობა უთუოდ გაუჩენდა. იქ პროგნოზები მრავლად დაიმსხვრა, მსოფლიო თასის ცხრილები კი თავდაყირა დადგა.

თავად განსაჯეთ: ვაჟთა შეჯიბრში ავსტრიელ „არწივ-რაინდთა" პარპაშს ვარაუდობდნენ, მაგრამ მათ ნაცვლად გაიბრწყინეს ნორვეგიელმა „შემტევმა ვიკინგებმა", ამ სეზონში მსოფლიო თასის 26 ეტაპიდან ოდენ სამი რომ მოიგეს. ვეტერანმა სკაარდალმა, უნივერსალმა ომოდტმა და მაჩანჩალა სტიანსენმა სამი ოქრო დაითრიეს, უიღბლო ხიუსმა კი ერთბაშად სამი ვერცხლი მოიხვეჭა. სამაგიეროდ, ჩაისვარა უკლებლივ ყველა ავსტრიელმა ვაჟმა. ვარსკვლავებით გაძეძგილ გუნდს ერთადერთი ოქრო მოუტანა ქალმა, ისიც ყველაზე ნაკლებად პრესტიჟულ დისციპლინაში.

დაშვებისას ახალბედასავით გაიშხლართა ფრანგი ალფონი, ავსტრიელმავე სიკორამ კი, მსოფლიო თასზე ხუთი სლალომი რომ მოიგო, ყველაზე კრიტიკულ მომენტში ვერ ივარგა.

იტალიელთა ბებერი კერპი და სექს-სიმბოლო ტომბა სლალომისა და გიგანტურის ტიტულებს იცავდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ავსტრიისა არ იყოს, ქვეყანა ასახელა არა მან, არამედ ორმა ქალმა — კომპანიონიმ, სპორტში სასწაულით რომ დარჩა, და ჯიშით გერმანელმა კოსტნერმა.

არადა, ქალთა შეჯიბრში შვედი ვიბერგისა და გერმანელი ზაიცინგერის მძაფრ დუელს ელოდნენ. ვიბერგმა ბოლო დღემდე თავი ვერაფრით გამოიჩინა და ერთ კინკილა ბრინჯაოს დაჯერდა სახეობაში, რომელიც ყველაზე ნაკლებად ეხერხება.

ზაიცინგერმა ვერაფრით გატეხა ნავსი, ახალი წლის შემდეგ თან რომა სდევს: პირველ ადგილამდე ყოველ ჯერზე იოტისოდენი აკლდება. „ველურად" ცნობილმა დაქალმა გერგმა მას კარგად აუბა მხარი, ალასკელმა ბიოლოგიის სტუდენტმა ლინდმა კი ამერიკას შეუნარჩუნა დაშვების დედოფლის ტიტული, დაშავებულმა პიკაბო სთრითმა შარშან რომ მოუპოვა.



26 წლის ლასე ხიუსმა გიგანტურ სლალომშიც ვერცხლი რომ მოიხვეჭა, მთლად გადაირია

როიტერი სესტრიერედან

ჩემპიონატი დასრულდა, თასი კი ხვალვე განახლდება: გარმიშ-პარტენკირხენში (გერმანია) ვაჟები ჩქაროსნულ სახეობებში შეეჯიბრებიან ერთმანეთს. გაიმართება დაშვება და ორი სუპერ-გიგანტი, რომელთაგან ერთისთვის ჯერ კიდევ დეკემბრის დამდეგს ვისლერ-მაუნთინს (კანადა) უნდა ემასპინძლა.

### ვაჟები

| | ჩემპიონატი | | | თასი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დაშვება** | | | | | | |
| 1 | ბრუნო კერნენი | შვეიც | | ლიუკ ალფონი | საფრ | 605 |
| 2 | ლასე ხიუსი | ნორვ | 7 | გედინა | | 534 |
| 3 | კრისტიან გედინა | იტალ | 35 | ვერნერ ფრანცი | ავსტ | 438 |
| **სუპერ-გიგანტი** | | | | | | |
| 1 | ატლე სკაარდალი | ნორვ | * | ალფონი | | 132 |
| 2 | ლასე ხიუსი | ნორვ | 21 | ჰანს კნაუსი | ავსტ | 111 |
| 3 | გიუნთერ მადერი | ავსტ | 33 | პეტერ რუნგალდიერი | იტალ | 100 |
| **გიგანტური სლალომი** | | | | | | |
| 1 | მიხ. ფონგრენიგენი | შვეიც | | ფონგრენიგენი | | 460 |
| 2 | ლასე ხიუსი | ნორვ | 112 | ომოდტი | | 301 |
| 3 | ანდრეას შიფერერი | ავსტ | 145 | კნაუსი | | 280 |
| **სლალომი** | | | | | | |
| 1 | თომ სტიანსენი | ნორვ | | თომას სიკორა | ავსტ | 666 |
| 2 | სებასტიან ამიე | საფრ | 5 | თომას შტანგასინგერი | ავსტ | 490 |
| 3 | ალბერტო ტომბა | იტალ | 44 | ამიე | | 328 |
| **კომბინაცია** | | | | | | |
| 1 | ხეტილ-ანდ. ომოდტი | ნორვ | | ომოდტი | | 741 |
| 2 | ბრუნო კერნენი | შვეიც | 28 | ალფონი | | 737 |
| 3 | მარიო რაითერი | ავსტ | 29 | სიკორა | | 668 |

მსოფლიო ჩემპიონატის ნაკვეთში * უზით იმ ჩემპიონებს, რომლებმაც შარშან მოგებული ტიტული შეინარჩუნეს. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნების ჩამორჩენა გამოსახულია წამის მეასედი ნაწილებით.

### ქალები

| | ჩემპიონატი | | | თასი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დაშვება** | | | | | | |
| 1 | პილარი ლინდი | აშშ | | ცურბრიგენი | | 349 |
| 2 | ჰაიდი ცურბრიგენი | შვეიც | 6 | გეჩლი | | 307 |
| 3 | პერნილა ვიბერგი | შვედ | 26 | ზაიცინგერი | | 266 |
| **სუპერ-გიგანტი** | | | | | | |
| 1 | იზოლდე კოსტნერი | იტალ | * | ვიბერგი | | 389 |
| 2 | კატია ზაიცინგერი | გერმ | 8 | გერგი | | 330 |
| 3 | ჰილდე გერგი | გერმ | 14 | კოსტნერი | | 305 |
| **გიგანტური სლალომი** | | | | | | |
| 1 | დებორა კომპანიონი | იტალ | * | კომპანიონი | | 460 |
| 2 | კარინ როტენი | შვეიც | 80 | ანიტა ვახტერი | ავსტ | 349 |
| 3 | ლელა პიკარი | საფრ | 176 | ზაიცინგერი | | 340 |
| **სლალომი** | | | | | | |
| 1 | დებორა კომპანიონი | იტალ | | ვიბერგი | | 570 |
| 2 | ლარა მაგონი | იტალ | 127 | კლაუდ. რიგლერი | ზელ | 389 |
| 3 | კარინ როტენი | შვეიც | 160 | კომპანიონი | | 327 |
| **კომბინაცია** | | | | | | |
| 1 | რენატე გეჩლი | ავსტ | | ვიბერგი | | 1,425 |
| 2 | კატია ზაიცინგერი | გერმ | 4 | ზაიცინგერი | | 945 |
| 3 | ჰილდე გერგი | გერმ | 8 | გერგი | | 818 |

მსოფლიო თასის ნაკვეთში მოტანილია შესაბამისი სახეობის მოწინავე სამეული და მის მიერ ჩემპიონატამდე მოგროვილ ქულათა რაოდენობა. რაკი თასზე კომბინაცია იშვიათია, ჩამუქებულ უჯრედში ჯამური მსოფლიო თასის ლიდერთა მონაგარი გვიწერია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მჭეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29